645
1981
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1981 წ.

I SSN 0321-1509

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანა ალექსანდრია

დ. იაკობაშვილის ფოტო.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქალთა მსოფლიო კონგრესზე

**ნინო ჯავახიშვილი,**
აკადემიკოსი, საქართველოს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე.

1981 წლის 8-13 ოქტომბერს პრალაში გაიმართა ქალთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც მოწვეული იყო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით.

კონგრესის დევიზი იყო: თანასწორობა, ეროვნული დამოუკიდებლობა, მშვიდობა.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ არა მარტო ქალთა, არამედ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები: ახალგაზრდობის, მშვიდობის, მშვიდობის მომხრეთა, პროფკავშირული, რელიგიური და სხვ.

სულ კონგრესზე წარმოდგენილი იყო 132 ქვეყნის 234 ეროვნული ორგანიზაცია, 96 საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 18 წარმომადგენელი, 500-მდე ჟურნალისტი, სხვადასხვა ქვეყნის პრესის, რადიოსი და ტელევიზიის წარმომადგენლები.



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფრიდა ბრაუნი

რიცხობრივი მონაცემები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა, თუ რამდენად ფართო წარმომადგენლობით იყო კონგრესი, რომელსაც 2500-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა კულტურის სასახლეში, რომელმაც წლეულს პირველად გაუღო კარი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობას. ქალთა მსოფლიო კონგრესი მეორე დიდი ღონისძიება იყო, რომელიც აქ გაიმართა.

კონგრესი საზეიმოდ გახსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ფრიდა ბრაუნმა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, მთავრობისა და ეროვნული ფრონტის სახელით კონგრესს მიესალმა გუსტავ ჰუსაკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კურტ ვალდჰაიმის მისალმება წაიკითხა სოციალურ საკითხებში მისმა მოადგილემ შახანიმ, ეროვნებით ფილიპინელმა.

შემდეგი ორატორი იყო ახალგაზრდა დანიელი ქალი სარკენი, ერთ-ერთი ორგანიზატორი მშვიდობის მარშისა, 1.100 კმ რომ გაიარა ფეხით კოპენჰაგენიდან პარიზამდე.

კონგრესზე დიდი შემართებით გამოვიდა მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე რომეშ ჩანდრა. მან აღნიშნა, რომ აშშ პრეზიდენტმა რეიგანმა ნეიტრონული ყუმბარის წარმოების შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვეყნა იმ დღეს, როდესაც კეთილი ნების მთელი კაცობრიობა ხიროსიმაში ატომური აფეთქების წლისთავს აღნიშნავდა.

პირველმა კოსმონავტმა ქალმა, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარემ ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვამ თავისი გამოსვლა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მისალმების ტექსტით.

ფრიდა ბრაუნმა საანგარიშო მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა გამალებული შეიარაღებისა და დაძაბულობის გამწვავებაზე, რაც მძიმე ტვირთად აწევს ყველა ქვეყანას. მან აღნიშნა, რომ ამჟამად მსოფლიოში სამხედრო იარაღის წარმოებაზე დასაქმებულია 50 მილიონზე მეტი ადამიანი და რომ მეცნიერთა 25 პროცენტი შეიარაღების პრობლემაზე მუშაობს, რაზეც ყოველდღიურად იხარჯება 1 მილიონი დოლარი. და ეს მაშინ, როცა დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედი მოკლებულია სამედიცინო დახმარებას, ერთი მეხუთედი უწიგნურია (მათ შორის უმეტესად ქალები), ერთი მეშვიდედი მშიერია (მათ შორის 15 მილიონი ბავშვი).

პირველი პლენარული სხდომის შემდეგ, დელეგატები დანაწილდნენ სექციური მუშაობისათვის; სულ ექვსი კომისია შეიქმნა: 1. მომუშავე ქალების, აგრეთვე სოფლელი ქალების პრობლემები; 2. ქალის თანასწორუფლებიანობა საზოგადოებაში; 3. ქალი და ოჯახი; 4. ქალი მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში; 5. ქალი ეროვნული დამოუკიდებლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში; 6. ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობა ურთიერთშორის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის ჩარჩოებში.

გარდა ამ ექვსი კომისიისა, შექმნილი იყო სპეციალური კომიტეტი, რომელიც იხილავდა განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ქვეყნებში ქალებისა და ბავშვების მდგომარეობას...

საბჭოთა ქალების კომიტეტი ოცი დელეგატით იყო წარმოდგენილი და ყველანი განაწილდნენ ამ კომისიებსა და კომიტეტში სამუშაოდ.

გარდა კონგრესის დელეგატებისა, კომისიების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, მსოფლიოში სადღეისოდ არსებული მდგომარეობის გარკვევისათვის.

პირადად მე მუშაობა მომიხდა მეექვსე კომისიაში. ოთხი დღის განმავლობაში კომისიებმა და სპეციალურმა კომიტეტმა მოისმინეს და განიხილეს 700-ზე მეტი ინფორმაცია, შეიმუშავეს რეზოლუციები, რომლებშიც საკმაოდ სრულად და ზუსტად აისახა ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც აწუხებს მშრომელ ქალებს მთელი დედამიწის ზურგზე.

მეორე პლენარული სხდომა შემაჯამებელი იყო. კომისიების თავმჯდომარეებმა კონგრესს წარუდგინეს გაწეული მუშაობის ანგარიში, კომისიების მიერ მიღებული რეზოლუციით. მათს საფუძველზე კონგრესმა მიიღო დეკლარაცია და მოწოდება.

დეკლარაციაში სრულად არის ასახული ის ვითარება, რომელშიც დღეს სხვადასხვა ქვეყნის მშრომელი ქალები იმყოფებიან, ნაჩვენებია ის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის პირობებში, აგრეთვე აღწერილია ქალების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, განვითარებად ქვეყნებში და განსაკუთრებით ომისა და აგრესიის მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში, სადაც ქალებს, თავიანთი უფლებების დაცვის გარდა, შეიარაღებულებს უხდებათ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და დაცვა.

სახლეში, შედგა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მორიგი კონგრესი.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კონგრესმა მოისმინა ექვსი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მირიამ ტუომინენმა გააკეთა. მან აღნიშნა, რომ ბერლინში გამართული მეშვიდე კონგრესის შემდეგ, რომელიც ქალის საერთაშორისო წელს მიეძღვნა, ფედერაციამ სამოცდაათ საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, განახორციელა ახალი წამოწყება — კადრების მომზადება რეგიონალურ 3-თვიან კურსებზე. ასეთი კურსები ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის შექმნილი იყო კუბაში, ხოლო აზიისა და აფრიკის ქვეყნებისათვის — ბულგარეთში. კონგრესმა მიიღო ახალი წევრები: ლიბანის, მაროკოს, დასავლეთ საჰარის, ავღანეთის, ბაჰრეინის, საბერძნეთის, ჩრ. ირლანდიის, თურქეთის, გაიანას, იამაიკის, სურინამიის, კამბოჯის, ბოლივიის ქალთა ორგანიზაციები. ამჟამად ფედერაცია 134 ქვეყნის ქალთა ორგანიზაციებს აერთიანებს.

კონგრესმა აირჩია ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა: თავ-




ჩეხოსლოვაკიის ქალთა კავშირის თავმჯდომარე მარია კაბერგელოვა

მოწოდებაში დაგმობილია აშშ მილიტარისტული პოლიტიკის კურსი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აგრესია მეზობელ ქვეყნებში, ისრაელის ექსპანსია არაბეთის ნახევარკუნძულზე. ქალები აღუთქვამენ კონგრესს, რომ ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად შეუპოვრად იბრძოლებენ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, შეიარაღებისა და დაძაბულობის წინააღმდეგ.

ქალთა მსოფლიო კონგრესის შემდეგ, იმავე კულტურის სა-

მჯდომარედ — ისევ ფრიდა ბრაუნი, გენერალურ მდივნად — ისევ მირიამ ტუომინენი.

ფედერაციის კონგრესის ერთ-ერთი სხდომა მიეძღვნა მისი პირველი თავმჯდომარის ეჟენი კოტონის დაბადებიდან მე-100 წლისთავს.

კონგრესის მუშაობა შეაჯამა და გულთბილ ვითარებაში დახურა ვალენტინა ტერეშკოვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველო ჩამორჩა ელექტროენერგეტიკის განვითარებაში. სახალხო მეურნეობაში შენელდა შრომის ელექტროაღჭურვილობის ზრდის ტემპი.

თუ რა ღონისძიებებია დასახული ჩამორჩენის დასაძლევად, ამ საკითხზე ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ვახტანგ გომელაურს

# ენერგეტიკის აწმყო და მომავალი

**კითხვა: — როგორც ცნობილია, მეათე ხუთწლედში დიდი სამუშაოები განხორციელდა რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის გასაძლიერებლად. წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე, მაგრამ ენერგეტიკული სისტემა მაინც ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მზარდ მოთხოვნას: ხომ ვერ გვიამბობდით რა ხასიათის პრობლემების გადაჭრაა საჭირო ამ მიმართულებით?**

**პასუხი:** საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში, XI ხუთწლედში და 1990 წლამდე პერიოდის განმავლობაში, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი მოკავშირე რესპუბლიკებში ენერგეტიკის განვითარების საკითხს. კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ხუთწლედში ელექტროენერგიის გამომუშავება 1,2-ჯერ გაიზრდება, ამოქმედდება ახალი ენერგეტიკული ობიექტები.

ამჟამად, საქართველოში ბაზისური ელექტროენერგიის გამომუშავება ძირითადად ხორციელდება თბილისისა და ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონულ თბოელექტროსადგურებში. პირველის სიმძლავრე მილიონ 260 ათასი კილოვატია, ხოლო მეორისა უახლოეს ხანში მიაღწევს 210 ათას კილოვატს. ხსენებულ ელექტროსადგურებს შეუძლიათ მთელი წლის განმავლობაში იმუშაონ სრული სიმძლავრით. ასეთ ელექტროსადგურებს ბაზისურ ელექტროსადგურებს უწოდებენ, ხოლო მათ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას — შესაბამისად ბაზისურ ელექტროენერგიას.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკა განიცდის სწორედ ამ ბაზისური ელექტროენერგიის დეფიციტს, რომელიც განსაკუთრებით მწვავდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

ცხადია, რომ XI და XII ხუთწლედების განმავლობაში ბაზისური ელექტროენერგიის დეფიციტი საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში მნიშვნელოვნად მოიმატებს და არსებული მონაცემების თანახმად 1990 წლისათვის მიაღწევს 6-7 მილიარდ კილოვატსაათს წელიწადში. ეს გარემოება შექმნის მეტად მძიმე ვითარებას ჩვენი სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ელექტრომომარაგების საქმეში. ვინაიდან ჩვენი ბაზისური ელექტროსადგურების სიმძლავრე უკვე ამჟამად არ არის საკმარისი, ყველაფერი უნდა ვიღონოთ უახლოეს ხანში რესპუბლიკაში ახალი მძლავრი ბაზისური ელექტროსადგურის მშენებლობის დასაწყებად. ცნობილია, რომ ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანა[გ] ე. შევარდნაძის მოხსენებებსა და გამოსვლებში.

**კითხვა: — რით აიხსნება შექმნილი მდგომარეობა და როგორია ამ სიძნელეთა დაძლევის გზა?**

**პასუხი:** — ჩვენი ელექტროენერგეტიკი[ს] ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ საქართვე[ლ]ლოში 1971 წლიდან მთლიანად შეწყდა ბაზისური ელექტროსადგურების მშენებლობა. რაც შეეხება შექმნილ სიძნელეთა დაძლევი[ს] გზას, იგი ერთადერთია — რესპუბლიკაშ[ი] უნდა აშენდეს მძლავრი ატომური ელექ[]ტროსადგური. ბაზისური ელექტროენერგი[]ის დეფიციტის ლიკვიდაციის სხვა გზა ამჟამად არ არსებობს.

**კითხვა: — რა სამეცნიერო-კვლევითი სა[]მუშაოები შესრულდა და სრულდება ამჟა[]მად საქართველოში ატომური ენერგეტიკი[ს] დარგში?**

**პასუხი:** — ატომურ რეაქტორებში მიმდი[]ნარე თბური პროცესების შესწავლას საქარ[]

თველოში მიეძღვნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოკვლევა. სამეცნიერო მუშაობა ამ დარგში გრძელდება ამჟამადაც. კერძოდ, შემიძლია დავასახელო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატების რ. კანდელაკის, თ. მაგრაქველიძის, მ. ყიფშიძის, შ. აბრამიძის, გ. გარსევანიშვილისა და სხვების მიერ შესრულებული გამოკვლევები. საყურადღებოა, აგრეთვე, საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში ატომური და ჰიდრავლიკური ეფექტიანობის დასაბუთების დარგში შესრულებული სამუშაოები. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ენერგეტიკოსებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკაში საკვლევი ატომური რეაქტორის აგებისა და მისი ექსპლუატაციის ორგანიზაციის საქმეში.

**კითხვა: — როდის უნდა დაიწყოს საქართველოში ატომური ელექტროსადგურის აგება?**

**პასუხი:** — ატომური ელექტროსადგურის აგება დიდ კაპიტალურ დაბანდებებთან არის დაკავშირებული და მოითხოვს უნიკალური მოწყობილობისა და სპეციალური აპარატურის გამოყოფას. ამის მიუხედავად ჩვენი ენერგეტიკოსების აზრით ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოში მიზანშეწონილია.

**კითხვა: — რას გვეტყოდით სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სახალხო მეურნეობაში გამოყენების თაობაზე, რა ღონისძიებები ხორციელდება მისი ეფექტიურობის ამაღლებისთვის?**

**პასუხი:** — ეს საკითხი ამჟამად ენერგეტიკოსების ყურადღების ცენტრშია. უკანასკნელ წლებში მთელს მსოფლიოში და კერძოდ, სსრ კავშირში, მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ე. წ. თბური ტუმბოებისადმი, რომლებიც იძლევა დაბალტემპერატურიანი სითბოს წყაროების გამოყენების შესაძლებლობას. ამ დანადგარების საშუალებით შესაძლებელია როგორც შენობების გათბობა ზამთარში ისე ჰაერის გაგრილება ზაფხულში. მათ ის უპირატესობაც გააჩნია, რომ არ საჭიროებენ ორგანულ სათბობებს და ამის გამო არ აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს სათბობის დაწვის შედეგად წარმოქმნილი აირებით.

თბური ტუმბოების პერსპექტიულობა ამჟამად პრაქტიკულად არის დადასტურებული. ჯერ კიდევ 50-იან წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავდა კურორტ წყალტუბოში თბური ტუმბოს ცენტრალიზებული სადგურის შექმნის იდეა. იგი ითვალისწინებდა ამ კურორტის სანატორიუმებისა და სხვა სამკურნალო შენობების გასათბობად და ცხელი წყლით მოსამარაგებლად იმ სითბოს უტილიზაციას, რომელსაც სააბაზანო შენობებში გამოყენებული წყალი შეიცავს. ამ წყლის ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში — 30 გრადუსს უდრის. ზაფხულში იმავე დანადგარის საშუალებით განხორციელდებოდა სანატორიუმებში ჰაერის კონდიციონირება. დასაბუთდა, აგრეთვე, თბური ტუმბოების საშუალებით ჩაის ფაბრიკებიდან ატმოსფეროში გამომავალ თბილ, ტენიან ჰაერში დაგროვილი სითბოს გამოყენების ენერგო-ეკონომიკური ეფექტიანობა მწვანე ფოთლის თერმული დამუშავებისათვის საჭირო სითბოს მისაღებად. ამ დანადგარების გამოყენება გამორიცხავს ჩაის ფაბრიკებში დეფიციტური თხევადი სათბობის დაწვის საჭიროებას.

**კითხვა: — რა დაედო საფუძვლად იმას, რომ საქართველოში საჭირო გახდა თბური ტუმბოების კვლევითი სამუშაოებების განვითარება?**

**პასუხი:** — ბუნებრივმა კლიმატმა. ამ დანადგარების მუშაობა განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთ რაიონებში, სადაც არ იცის ცივი ზამთარი. თბური ტუმბოების გამოყენება ეფექტიანია აგრეთვე დაბალტემპერატურიან ტექნოლოგიურ პროცესებში, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ჩაის ფაბრიკებში მიმდინარე პროცესები, ხოლო ჩაის მრეწველობა კი, როგორც ცნობილია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

განვლილ წლებში, თბური ტუმბოების შესასწავლად, საქართველოში შესრულდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, შეიქმნა ლაბორატორიული და სამრეწველო მასშტაბის საცდელი დანადგარები. როგორც გამოკვლევებმა დაადასტურა, თბური ტუმბოს დანადგარებში შესაძლებელია დგუშიანი სამაცივრო კომპრესორების გამოყენება. მათ კი ჩვენი ქვეყნის მრეწველობა სერიულად ამზადებს. დასაბუთებულია ისიც, რომ ასეთი კომპრესორების თბური ტუმბოს რეჟიმში მუშაობის დროს მუშა ნივთიერებად შეიძლება გამოყენებულ იქნას ფრეონ-12 და ფრეონ — 148, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ქიმიური ქარხნები ამზადებენ. ამ დარგში აღსანიშნავია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის დოც. ო. ვეზირიშვილის ნაშრომები.

**კითხვა: — როგორია ინჟინერ-დამპროექტებლების წვლილი თბური ტუმბოების პროექტების შექმნაში?**

— რესპუბლიკის წამყვანი საპროექტო ორგანიზაციები „საქალაქმშენპროექტისა“ და „საქკვებმრეწვპროექტის“ ინჟინერთა ჯგუფები ჯერ კიდევ 1975 წლიდან შეუდგნენ თბური ტუმბოს დანადგარების ტექნიკური და სამუშაო პროდუქტების დამუშავებას. „საქქალაქმშენპროექტში“ ინჟინრების ჯგუფი ნ. უნგიაძის მეთაურობით აპროექტებს თბური ტუმბოებით მოქმედ თბომომარაგების სისტემებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპირო ზოლში განლაგებულ კურორტებზე ზღვის წყლის სითბოს გამოიყენებს სანატორიუმების შენობების გასათბობად, ცხელი წყლით მოსამარაგებლად და საცურაო აუზებში წყლის გასაცხელებლად. ამჟამად ამ კურორტებზე ორგანული სათბობების დაწვის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად ხსენებული მიზნებისათვის ფართოდ იყენებენ ელექტროენერგი[illegible] ხარჯი თბური ტუმბოების გამ[illegible] შემთხვევაში სულ ცოტა, 3-ჯერ მაინც შემცირდა.

„საქკვებმრეწვპროექტის“ სპეციალისტებმა (ინჟინერი გ. ხეჩუაშვილი და სხვ.). შეადგინეს სამტრედიის ჩაის ფაბრიკის თბური ტუმბოების დანადგარებით აღჭურვის სამუშაო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აგრეთვე ფაბრიკასთან მწვანე ფოთლის ცივად შესანახი კამერის შექმნას. პლანტაციებიდან მწვანე ფოთლის დიდი რაოდენობით მიღების პერიოდში. ასეთ კამერებში ჩაის შენახვა ფაბრიკის წლიურ მწარმოებლობას გაზრდის თითქმის 30 პროცენტით და გამორიცხავს ფოთლის გადამუშავების დაყოვნების შედეგად პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ჩაის მრეწველობაში ამ დანადგარების გამოყენება მოგვცემს საგრძნობ ენერგო-ეკონომიკურ ეფექტს, ვინაიდან ჩაის ფაბრიკების მუშაობის პერიოდი ემთხვევა საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში ჭარბი სეზონური ელექტროენერგიის გამომუშავების პერიოდს და ჩაის ფაბრიკები დეფიციტური და ძვირადღირებული თხევადი სათბობის ნაცვლად გამოიყენებენ სეზონური ჰიდროენერგიის შედარებით მცირე რაოდენობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებათა საფუძველზე XI ხუთწლედში რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას კომუნალური დანიშნულების თბური ტუმბოს რამდენიმე საკმაოდ მძლავრი დანადგარი შავი ზღვის სანაპიროს კურორტებსა და წყალტუბოში. გარდა ამისა ასეთი დანადგარი უნდა ამუშავდეს სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში.

**კითხვა: — როგორი იქნება თბური ტუმბოების დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომია?**

**პასუხი:** — გაანგარიშებათა შედეგების თანახმად თბური ტუმბოს დანადგარების ფართოდ დანერგვა რესპუბლიკის ზღვისპირა კურორტებზე ყოველწლიურად 600 ათას ტონა პირობით სათბობს დაგვიზოგავს, ხოლო საქართველოს ყველა ჩაის ფაბრიკაში ამ დანადგარებით აღჭურვის შემთხვევაში ყოველწლიურად დაიზოგება თითქმის 100 ათასი ტონა თხევადი სათბობი. ორგანული სათბობის დიდ რაოდენობას დაგვიზოგავს თბური ტუმბოს დანადგარების გამოყენება რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონებში და სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება დიდი, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების გზაზე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ადამიანთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

საუბარი ჩაიწერა ლ. აროშიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მედეა შავლიაშვილი

ჟინვალური პორტრეტები

# სიდარბაისლე

თვითმცლელმა ნნეხის ყელი დააგრძელა, ძარის თავი აამაღლაურა, დააფერდა და შიგ ჩაყრილი ქვა-ქვიშა ხმაურით და შრიალით ჩამოცალა კაშხალზე. ქვიშის საფარისაგან განთავისუფლებული ატმისტოლა ქვები ხტომა-ხტომით მიგორდნენ და კაშხლის თიხის გულის ახლომახლო დასკუპდნენ.

ლია ჭანიშვილმა ავტობუსის ფანჯრიდან მოჰკრა თვალი აცეკვებულ ქვებს...

ავტობუსში დარჩენილებმა ლამის მინას მიაჭყლიტეს ცხვირი. მერე ჰიდროპროექტში ყვებოდნენ გაოცებულები:

— იცით, ლია ჭანიშვილმა იყვ...! არა, ძალიან აღელდა და ძალიან ხმამაღლა გაჯავრდაო.

ლია ჭანიშვილი ინსტიტუტის მერხიდან მოვიდა საპროექტო ინსტიტუტში. საუკუნემ მეოთხედზე მეტი მიითვალა მას შემდეგ. ჯერ ლაჯანურის ელექტროსადგურის დაპროექტებაზე მუშაობდა, მერე ვარდნილ ჰესებზე, დღეს კი ჟინვალის ჰიდროკვანძის მიწის კაშხლის მთავარი ინჟინერია. მოაზროვნე ინჟინერი ქალის და კეთილშობილი ადამიანის წიგნის — „ნაყარი ქვისა და მიწის კაშხლების დაპროექტების“ ავტორის — რუდაბე აირაპეტიანის საუკეთესო მოწაფე ახლა სხვათა მასწავლებელია. ვინ იცის, რამდენი უსიამოვნება გადახდა თავს, რამდენჯერ გული ეტკინა, დიდი მწუხარება შეხვდა, მაგრამ მოთმინებადაკარგული და წონასწორობიდან გამოსული ლია ჭანიშვილი არავის უნახავს...

ადრევე გამოყოლილი სიდარბაისლე, ბევრი შრომით გამომუშავებული ორგანიზებულობა და შესასრულებელი საქმისა თუ მოვალეობისადმი საოცრად კეთილშობილური დამოკიდებულება მისი ხასიათის ძირითად თვისებად გადაიქცა.

მიწის კაშხლების მშენებლობის ისტორია ლამის კაცობრიობის ისტორიის თანატოლია. ნაყარი ჯებირებით წყალს ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ტბორავდნენ ადამიანები. დიდი იყო ის ჯებირი თუ პატარა, მაღალი თუ დაბალი, ერთთავად აკვირდებოდნენ მათს მუშაობას, საგანგებოდ სწავლობდნენ, უამრავ წიგნებს და ლიტერატურასაც ქმნიდნენ, და თუმცა მომდევნოთა აშენებისას ადრინდელთა გამოცდილებას იყენებდნენ და ითვალისწინებდნენ, ხელოვნების ნიმუშებისა არ იყოს, თითოეული იმათგანი მაინც უნიკალური და განუმეორებელი რჩებოდა. თვითეული თავისთავადი იყო, რადგან კაცის ხასიათივით ზუსტად ერთნაირი ორი მდინარე ქვეყანაზე არ არსებობს. ის კი არა, ერთი მდინარეც სხვადასხვა მონაკვეთზე სხვადასხვანაირად ჭირვეულობს.

ჟინვალჰესის კაშხლის მშენებლობა ახალი დაწყებული იყო, როცა არაგვიდან

ტოტი გადმოაგდეს გვერდზე, შიგ პატარა კაშხალი ჩახიდეს, წყალსაგდებიც მოაწყეს, წყალმიმღებიც. ყველა ნაგებობა იმის შემცირებული ასლი და ორეული იყო, რაც ჟინვალის მომავალ ჰიდროკვანძზე უნდა აეშენებინათ. უფრო ადრე კი გაცილებით მომცრო მაკეტი საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ინსტიტუტში გაკეთდა. იქაც ბავშვის სათამაშოებივით ჩადგეს მომავალი ელექტროსადგურის მთელი სისტემის პატარა ორეულები და მათზე წყლის მოქმედება ანუ მდინარის ჰიდრავლიკა შეისწავლეს.

ჟინვალის ჰიდროკვანძის 101-მეტრიანი კაშხალი ქვიშის ვეება პირამიდაა. გული საგანგებოდ დატკეპნილი თიხისა აქვს. თიხასა და ქვიშას შორის გარდამავალი უბანია. როცა წყალსაცავიდან მოწოლილი წყლით ქვიშის მთა გაიჟღინთება, თიხის გულში შეიპარება და ქვედა ბიეფში გამოსვლას დააპირებს, თან თიხის ნაწილაკების გამოყოლებას შეეცდება, აი, მაშინ უნდა იმარჯვოს გარდამავალმა უბანმა და თიხის არცერთი ნამცეცი არ გაატანინოს. ამისათვის კი ამ უბნის ფრაქციები საგულდაგულოდ უნდა შეირჩეს.

აი რატომ გააჯავრა ლია ჭანიშვილი, — ჟინვალჰესის მიწის კაშხლის პროექტის მთავარი ინჟინერი, — ერთი შეხედვით უცოდველი ქვების ცეკვამ. ატმისტოლა ქვებს გარდამავალი უბნის სიახლოვეს არამც და არამც არ დაედგომებოდათ.

ჟინვალის ჰიდროკვანძის სათავე-ნაგებობა ურთულესი ობიექტია. მიწის კაშხლის მშენებლობა ლამის მესაათის სიზუსტესა და ყურადღებიანობას მოითხოვს. ამიტომ მშენებლებს, შოფრებს, ოსტატებს ერთთავად თავზე ადგანან „ჰიდეპის“ მუშაპროექტის ჯგუფის წარმომადგენლები თუ უბნის უფროსები. მისი პროექტის მთავარი ინჟინრობა კი უამრავი ლიტერატურის შესწავლას, ნათელ ინჟინრულ გონებას და ჩაკირკიტებულ შრომას მოითხოვს.

ლიას მამაც ინჟინერი ჰყავდა. ომის დროს კავკასიის მისადგომებს ამაგრებდა. დაჭრილს და დაავადებულს დიდხანს აღარ უცოცხლია.

უმამოდ დარჩენილი თვითონ დაადგა მამის გზას.

ცხოვრების თანამგზავრიც თვითონვე აირჩია.

მის ნლოვანებაში გოგონები კინოვარსკვლავებზე ოცნებობდნენ. ის კი იმ კაცს გაჰყვა ცოლად, იაფფასიანი სიტკბოებისადმი გულგრილობა და არჩეული საქმისადმი ფანატიკური ერთგულება იმთავითვე აოცებდათ ახლობლებს.

ალეკო ჭანიშვილმა ჰიდრავლიკის სიყვარული ლამის პოეზიის სიმაღლემდე აიყვანა. და განა მარტო ჰიდრავლიკისა! ცოლშვილისადმი მიწერილი მისი ყოველი ბარათი პოეტური ქმნილება იყო.

მაგრამ არავის გაახსენდება ბოლომდე მიყვანილი მისი კუთვნილი შვებულება. რამდენჯერ ცოლშვილი აგარაკზე მიუტოვებია, ცდა მაქვს დაყენებულიო და შეხვედრისას ახალგაზრდა მეუღლე საყვედურის ნაცვლად ცნობისწადილით იმ ცდის შედეგს შეჰკითხვია.

საქართველოში იშვიათად აშენებულა ელექტროსადგური, მისი ჰიდრავლიკა ალეკო ჭანიშვილს რომ არ შეესწავლა და ეანგარიშა.

ბზარდაჩენილი ჰიდროტექნიკური ნაგებობის სამკურნალოდ და დიაგნოზის დასასმელადაც უთუოდ ალეკოს იწვევდნენ ხოლმე.

ჭანიშვილების ძველ და ტრადიციულ ოჯახში შრომა გაფეტიშებული იყო. ალეკოს მამა, ფინანსისტი გიორგი ჭანიშვილი სიღნაღის მაშინდელი ინტელიგენციისათვის პატიოსნებისა და მოვალეობისადმი ერთგულების უწმინდეს ეტალონად ითვლებოდა. ამ ტრადიციებზე გაიზარდნენ ალეკო და მისი ძმა, ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თეიმურაზ ჭანიშვილი.

ასეთ ოჯახში ახალგაზრდა, ლამაზმა ქალიშვილმა უშელავათოდ დაიკავა ღირსეული ადგილი და ამავე ტრადიციებზე ალზარდა ორი შვილი, უნივერსიტეტის ასპირანტი ნინო და კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტი მარინე.

ალეკო ჭანიშვილის ბევრი მოწაფე ყოველგვარ წოდებას დაეპატრონა, მედლით დაიმშვენა მკერდი. ალეკო კი ბოლომდე ჯარისკაცად დარჩა თავის საგუშაგოზე.

ასეთი კაცისათვის მეუღლეობის გაწევა ძალიან ძნელია. მხოლოდ რჩეულთა უნარია ამგვარი ცხოვრებით ბედნიერება განიცადონ.

ლია ალეკოზე გათხოვილად კი არა, მის ზურგს უკან ამოფარებულად თვლიდა თავს.

ალეკო ჭანიშვილი სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა, საცდელი მაკეტის აგებას შეეწირა.

ის ვაჟკაცობა, რითაც ამ უდიდეს მწუხარებას შეხვდნენ ცოლი, შვილები თუ ძმა, იმ დიდი შრომით გამომუშავებული შინაგანი ორგანიზებულობის წყალობა იყო, ჭანიშვილების ოჯახის უპირველეს ნიშანთვისებად რომ ითვლება.

ამ ტრაგედიის შემდეგ, სამსახურში დაბრუნებული ლია იმაზეც წუხდა, კაშხლის სიმტკიცის ზოგიერთი მრუდი დასაშვებ ფარგლებს სცილდებაო.

ჟინვალის ჰიდროკვანძის მიწის კაშხალმა სამოცდაათ მეტრს ააცილა. იგი ყოველდღიურად მტკაველზე მეტად მაღლდება, მისი მთავარი ინჟინრისათვის — ლია ჭანიშვილისათვის ყოველ დღეს ახალი საზრუნავი, საანგარიშო და ხანდახან საგანგაშოც მოაქვს.

ლია ჩვეული სიდარბაისლით და სერიოზულობით ეკიდება ამ პასუხსაგებ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბაიხოს“ ზვრებში

მზე კარგა ორი თოხის ტარზე მაღლა იყო წამოსული, იყალთოში რომ მივედით. არავინ ჩანდა.

„ქუდზე კაცი ვენახებში!“ ამ მოწოდებით მივხვდით, რომ ძნელად თუ ვნახავდით ვინმეს სოფელში. ყველაზე მოწინავე გიგლა დედაბრიშვილის ბრიგადა „ბაიხოს“ ზვრებშიაო, — გვითხრეს.

დიდებული ალავერდის ტაძარს მივადექით და დაიწყო კიდეც „ბაიხოს“ ბარაქიანი ზვრები. ძალზე ახლოს იყო კავკასიონი. მთებში ალაგ-ალაგ სიფრიფანა ცისფერი ნისლები ფიქრებივით ჩაწოლილიყო.

ზვრებსაც აქვს თავისი ცენტრი — დიდი მუხა. აქედან იწყება საურმე გზა, აქედან მოჩანს ბრიგადის ნაკვეთების გეოგრაფიული საზღვრები, აქვე გვითხრეს ბრიგადირის მისამართი და გავუყევით სამხრეთით საურმეს.

მზე საოცრად იცინოდა ზვრებში. თავს იწონებდნენ მზის სხივებით დაცვარული მტევნები. მზისგან ლოყებაწითლებული ქალები „რქაწითელს“ დამსგავსებოდნენ.

შესვენების საათი ჰქონდათ. საურმის პირას გაეშალათ სუფრა. ქალები სჭარბობდნენ. მათს თვალებში საუბრის დაწყებიდანვე საინტერესოდ იკითხებოდა კახური გულახდილობა.

მალე ბრიგადირიც მოვიდა — შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, კომუნისტი გიგლა დედაბრიშვილი.

ალავერდიდან ალაზნის პირზე გადაჭიმულა 91 ჰექტარი ვენახი. 70 ჰექტარი მოსავლიანია, 11 ჰექტარი — მცირემოსავლიანი, დანარჩენი ახალშენია. ამ ბარაქიანი ნაკვეთების ბატონ-პატრონი № 8 ბრიგადის წევრები არიან, მთელი წლის განმავლობაში რომ ესათუთებიან თითოეულ ვაზს.

ბრიგადირს ჩაეღიმა, ჩვენი მისვლის მიზეზი რომ შეიტყო. გაუჭირდა კი მოწინავე ქალების დასახელება — ერთზე ნათქვამი ქება ყველაზე ნათქვამიაო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ბრიგადის ქალები მზეს ამოსვლას არ აცლიან. ასე მგონია აქ, ვაზებთან ალამ-ათენებენ. მათი იმედით ვივალდებულეთ, რომ ჰექტარზე საშუალოდ 140 ცენტნერს მოვკრეფდით. ისინი თავიანთი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან. მათმა გამოცდილებამ, შრომისმოყვარეობამ მოგვიტანა ბარაქიანი შემოდგომა. მერე და იცით, რა ძნელბედობის ჟამს გადავარჩინეთ ვაზი!

ძნელბედობის ჟამიო... ბრიგადირის სიტყვებზე უფრო მეტად ალაპარაკდნენ ქალები:

— ყველა საშუალებით ვებრძოდით ბუნების ჭირვეულობას. ბრიგადირმა დაგვრაზმა. სწრაფი ტემპით დაიწყო მუშაობა.

— დიდი დახმარება გაგვიწია ყურძნის მოსავლის გადასარჩენად შექმნილმა რაიონულმა შტაბმა („რთველი-81"), რომელმაც შესძლო უამინდობის მძიმე შედეგების უახლოეს ხანში ლიკვიდაცია.

— ასეთი ჭირვეული ამინდები, წლეულს რომ იყო, არ გვახსოვს, ხშირი წვიმები ვენახებში მუშაობის საშუალებას არ გვაძლევდა. ძალს უამინდობა იყო და ძალს ჩვენ.

—შეუპოვრად, უკომპრომისოდ იბრძოდნენ ბრიგადის წევრები მოსავლის გადასარჩენად, დასახული ამოცანების შესასრულებლად.

— უამინდობის გამო ზოგიერთი ნაკვეთი 5-6 წამლობის მაგიერ 7-8-ჯერ შევწამლეთ. მრავალჯერ დამატებით შევაფრქვიეთ გოგირდი, რომ ნაცარი არ მომძლავრებულიყო. მაღალხარისხოვნად და აგრონესების სრული დაცვით მიმდინარეობდა მწვანე ოპერაციები. რიგთაშორისებიც კი გამოვთიბეთ, რაც აგრონესებით გათვალისწინებული არ იყო.

— მაინც გაჩნდა მავნე დაავადებათა კერები, თავი იჩინა ჭრაქმა და ნაცარმა. თვითეულმა ასი თვალი და ასი ყური გამოვისხით. უფრო შევმჭიდროვდით, ყოველთვის გვახსოვდა რესპუბლიკის მევენახეთა თათბირზე რესპუბლიკის ხელმძღვანელების მითითება.

— ბევრჯერ ისე დაგვღამებია, რომ ჭამაც არ გაგვხსენებია, ვაზთან ვალამ-ვათენებდით.

— მერედა, ამ დალოცვილ ვენახში იცით რა ზღვა საქმეა? რიგთაშორისების დამუშავება, ფურჩნა, ახვევა, ცის გახსნა, სარეველების მოსპობა... თანაც პარალელურად სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები!

ამბობდა ბრიგადირი. ჰყვებოდნენ ნინო და ვერა ბოტკოველები, ელენე იმერლიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვერა იმერლიშვილი, პარტიის წევრობის კანდიდატი მარიკა ჯავახიშვილი.

მარიკა ჯავახიშვილი...

მაოცებდა, ეს პატარა გოგო დიდი გამოცდილი მევენახესავით რომ იგონებდა შრომით აღსავსე დღეებს.

შესვენება დამთავრდა. მარიკა ვაზებისკენ მიიწევდა, მაგრამ მე ცოტახანს შევაყოვნე. მივხვდი, რომ ვერ ისვენებდა და მეც შევყევი საკრეფად შესულს.

ქალიშვილი სწრაფად ათავისუფლებდა ვაზებს და თავაუღებლად მესაუბრებოდა. დღეში თურმე ერთ ტონაზე მეტ ყურძენს კრეფს. მარიკა პარტიის წევრობის კანდიდატია, სასოფლო საბჭოს დეპუტატი და ალმასკომის წევრია. სკოლის მერხიდან მოვიდა ამ კოლექტივში, და ამ სამი წლის განმავლობაში უკვე გამოიკვეთა ცხოვრებაში მისი სწორი პოზიცია. ქალიშვილმა თავის პატარა ბიოგრაფიას დიდი შინაარსი შემატა. წლევანდელმა უზარმაზარმა შრომამ ხომ ნაადრევად დააქალა — დიდი გამოცდილება შესძინა.

— ბრიგადის წევრები ყოველთვის მხარში ვედექით ერთიმეორეს, მაგრამ წლევანდელმა გაჭირვებულმა დღეებმა მეტად დამარწმუნა, რა დიდი ძალა ჰქონია თანადგომას, მეგობრობას, სიყვარულს. ამ დროს საქმესაც სწავლობ და ცხოვრების ფასსაც.

როცა ამას ამბობს, მარიკას ცაგახსნილი ვენახივით უნათდება სახე.

— მარიკა, დეპუტატიც თუ ისეთი ხარ, როგორიც მევენახე? — ვეკითხები.

პასუხს მიგვიანებს. უხერხულად იშმუშნება. სიტყვა გვერდით მომუშავე ვერა იმერლიშვილმა წამოაშველა:

— მღვდლიაანთ უბანში (ასე ეძახიან მის საარჩევნო უბანს) მარიკას ინიციატივით მოეწყო საუბნო გზები, გამოიყვანეს სასმელი წყალი. ამასწინათ კი ალმასკომის სხდომაზე დაუყენებია საკითხი, რომ უბნის გზები ასფალტით დაიფაროს.

— მიზანი, სურვილი როგორია? — არ ვეშვები ქალიშვილს.

— მინდა, რომ ჩემი იყალთო ყველაზე ლამაზი იყოს რაიონში, თუნდაც რესპუბლიკაში. მთელ ჩვენს კავშირშია ცნობილი იყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო უნივერსიტეტი. მინდა სილამაზითაც, თავისი ხალხითაც ასეთი ცნობილი იყოს ჩემი სოფელი. მინდა რაც შეიძლება მეტი მხატვრული ლიტერატურა წავიკითხო, კვლავ დავუბრუნდე სპორტს, დაუსწრებლად დავამთავრო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და ვემსახურო ჩემს სოფელს, ჩემს ხალხს.

გამოვდიოდი რიგთაშორისებიდან და ვფიქრობდი: ასეთმა ადამიანებმა შეაძლებინეს ბრიგადას ვაჟკაცურად დაეძლიათ სიძნელეები, გაემარჯვათ სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოვდიოდით და შორიდან ვამჩნევდით, რა სწრაფად მისდევდნენ რიგთაშორისებს ქალები, როგორ იმართებოდნენ ვაზები წელში.

ლილი შავერდაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

# შრომა-სასწაულმოქმედი

შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ შრომითი აღზრდის ზნეობრივი ასპექტები იდგა XXVI პარტყრილობის ყურადღების ცენტრში.

მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გვეიმედებოდეს ჩვენს მიერ დასახული გრანდიოზული სოციალ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელება, თუ შევძლებთ ყოველ ადამიანში აღვზარდოთ სინდისიერების, პატიოსნების, მოვალეობის გრძნობა. ჩვენ ხშირად ვჩივით მშენებლობისა თუ წარმოების ამა თუ იმ პროდუქციის დაბალ ხარისხზე. საიდან მოდის ეს დაბალი ხარისხი? — მეტწილად ადამიანების უსულგულო დამოკიდებულებისაგან თავიანთი სამუშაო ობიექტის, მომხმარებელთა ბედისა თუ რესპუბლიკის სახელისა და ინტერესების მიმართ. ერთნი თუ გულმხურვალედ, კეთილსინდისიერად მუშაობენ, მეორენი არად დაგიდევენ არავითარ ზნეობრივ — ეთიკურ, ადამიანურ კანონებს. მათი სამყარო საკუთარი ბინის კარს ვერ გასცილებია, ინტერესები მომხმარებლურს.

საიდან ყალიბდება ადამიანში ეს ეგოცენტრიზმი? იქნებ, მისი ზრდის პროცესს მივადევნებდით თვალს!

გაჩნდა ოჯახში ნანატრი, პატარა არსება. ის, მეტწილად, სამწუხაროდ, ერთადერთი ხატია ოჯახში, მასზე მლოცველი კი — დედა, მამა, ბებია, ბაბუა (ზოგჯერ ბებიები და ბაბუებიც), მახლობლები, ნათესაობა. ეღირსათ „გამრთობი" და აი, ირგვლივ მყოფნი ერთობიან ამ „სათამაშოთი". ხანდახან ასწავლიან კიდეც უდიერად ექცეოდეს უფროსებს და გულიანად იცინიან, როდესაც პატარა უწენავს მათ თმას, უშენს პაწაწინა მუშტებს, უყოფს ენას და სხვა. ბილწსიტყვაობის გაკვეთილებსაც ნიჭიერად ითვისებს ზოგჯერ პატარა და ისევ და ისევ „მასწავლებლების" აღტაცებას იმსახურებს.

შემდეგი გაკვეთილი ბიჭისათვის, მისი მამაკაცური ღირსების შთაგონებაა, როდესაც მისთვის „გოგოს" დაძახება ყველაზე დამამცირებელია და აქედან ქალობა და საქალო შრომა, მათ შორის დედისაც — აბუჩად აგდებული. (საოჯახო შრომა მხოლოდ საქალო საქმედ ითვლება!).

და აი, ბიჭუნა წამოიჩიტა და, იქნებ სიხარულით შეასრულებდა თავისი ასაკისთვის შესაფერ სამუშაოს: გაისწორებდა ლოგინს, თავის ადგილს მიუჩენდა საკუთარ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, სათამაშოებს, წიგნებს, ერთი სიტყვით შეეჩვეოდა წესრიგს, დედასაც შეძლებისდაგვარად ხელს წააშველებდა, გაიგებდა შრომის ყადრს, იგრძნობდა რაღაც მოვალეობას ოჯახის წინაშე... მაგრამ ამ თავის „მამაკაცურ" თავმოყვარეობას რა უყოს?! ზოგიერთი დედა გოგონასაც კი „იცავს" შრომისგან: წვალება მერეც ეყოფა, როდესაც დაქალდება და საკუთარ ოჯახს შექმნისო.

და აი, დაქალდა გოგონა, დავაჟკაცდა ბიჭუნა და ისინი არათუ ოჯახის საზრუნავს ინაწილებენ, საკუთარი თავის მოვლა-მომსახურებაც ეზარებათ, არც ეხერხებათ და დამამცირებლადაც მიაჩნიათ. რა გასაკვირია, თუ ასეთ ახალგაზრდას გაუჭირდა „უძიძოდ" არსებობა? მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაშინ იჩენს თავს, ასე სათუთად აღზრდილი ქალ-ვაჟი თუ შეხვდა ერთმანეთს და შეება სამეუღლო უღელში. იქნებ პირველ თვეებში, როდესაც ახლადშეუღლებულები ყველაფერს ვარდისფერი სათვალით უმზერენ, ხოლო საოჯახო საქმიანობა დედის თუ დედამთილის კისერზე გადადის, ახალგაზრდების უნიათობა მხოლოდ ღიმილით აღიქმებოდეს, მაგრამ ბავშვის გაჩენასთან ერთად რთულდება საოჯახო საქმიანობა-მოვალეობანი და იწყება უსიამოვნებები, ურთიერთ-ბრალდებები და სხვა, რასაც ახალგაზრდა ოჯახი ძალიან ხშირად ნგრევამდეც მიჰყავს. ამ კატასტროფაში უფროსები ახალგაზრდებს ადანაშაულებენ ხოლმე — სიძეს ან რძალს სდებენ ბრალს, მაგრამ უფიქრიათ ნეტავ, რომ ოჯახის დანგრევა მათი არასწორი აღზრდის სავალალო შედეგია?!

ოჯახურ ბედნიერებაზე რომ არაფერი ვთქვათ, შვილების ასეთი სათბურის პირობებში აღზრდა, მათს საზოგადოებრივად სასარგებლო ადამიანებად ჩამოყალიბებასაც უშლის ხელს. უდავო ჭეშმარიტებაა, რომ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად დაჟინებული შრომა და ნებისყოფაა საჭირო, რომელიც ისევ და ისევ პატარაობიდანვე შრომით იწრთობა.

შეგიმჩნევიათ თუ არა, რა სიხარულით ტრიალებს პატარა, თუ რაიმე საქმე დაავალეთ? რა თავმომწონედ გვიჩვენებს თავის ნახელავს?

როგორც არ უნდა შეასრულოს დავალება, ბავშვი ყველა შემთხვევაში შექებისა და ნახალისების ღირსია, მან უნდა იგრძნოს შრომის სიკეთე, შრომით მონიჭებული სიხარული და ისიც, თუ რა საპატიო ყოფილა მისი მონაწილეობა უფროსების საქმიანობაში.

რა მშვენივრად, ბუნებრივად მიმდინარეობს შრომითი აღზრდის პროცესი მრავალშვილიან ოჯახებში! და განა მარტო შრომითი ჩვევების გამომუშავება! კოლექტივიზმის, ჰუმანიზმის გრძნობების აღზრდა, ურთიერთაღზრდა, ურთიერთდახმარების აუცილებლობის შეგნების ჩამოყალიბება და, აქედან გამომდინარე, ადამიანთა ურთიერთ თანდგომის იმედიანი სიხარული. ამ სიხარულიდან გაძარცვულ ჩვენს დედისერთას კი იმდენად „ვზოგავთ", რომ საბოლოოდ ვთიშავთ საოჯახო ინტერესებიდანაც და, ჩვენდა შეუმჩნევლად, გაუცხოების კედელი იზრდება ჩვენს შორის.

ის, ვინც თავს ვერ უვლის, ვერც სწავლაში ივარგებს, ვერც საქმეში და არათუ მშობლებს, საზოგადოებასა და ქვეყანას,— საკუთარ თავსაც ვერ გამოადგება.

თუ ბავშვმა არ იცის შრომის ყადრი, ვერც წარმოიდგენს რა გზით მოდის ის სიკეთე, რომლითაც იგი სარგებლობს. ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, ბავშვებს ენახათ, როგორ შრომობენ მათი მშობლები თავიანთ სამუშაო ადგილებზე, რა პატივისცემით სარგებლობენ თავიანთ კოლექტივში.

შრომას ადამიანი არ მოუკლავს, უქნარობა კი სპობს და ანადგურებს პიროვნებას, ანგრევს ოჯახებს, შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას.

შრომა ადამიანის ყველაზე დიდი მოკეთე და მეგობარია, მისი ბედის მჭედელი.

შრომა სასწაულმოქმედია. ამ სასწაულის ნაყოფია მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა, მეცნიერთა, მწერალთა შედევრები. ამ შედევრებმა საუკუნეებს გაუძლეს იმიტომ, რომ მათი ავტორების გენიალობას შეესადაგა მათი ტიტანური შრომისმოყვარეობა.

დიახ, შრომა-სასწაულმოქმედი ჰქმნიდა და ჰქმნის უნიკალურ ბიოგრაფიებს. ამ სასწაულმოქმედმა ააგო დიდებული ძეგლები საქართველოს მიუვალ მთათა მწვერვალებზე, ფრთა შეასხა ყველაზე გაბედულ ოცნებებს, სინამდვილედ აქცია საოცარი ფანტაზიები, გმირობა, ქვეყნის საპატიო მოქალაქეობა უბოძა ველ-მინდვრების, ბაღ-ვენახების, პლანტაციების, ფაბრიკა-ქარხნების ხელმოუღლელ მშრომელებს. მხოლოდ შრომა — სასწაულმოქმედი უნდა იყოს ყოველი ოჯახის საპატიო წევრი, მშობლების თანამდგომი ყმაწვილების აღზრდაში, ადამიანთა ერთგული მეგობარი და თანამგზავრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რთველი წარმატებით დაამთავრეს

ვინც ლალი ოტიაშვილის ოჯახს იცნობს, სულაც არ გაუკვირდება მისი შრომისმოყვარეობა.

მე-6 კლასში გადავიდა თუ არა, 1975 წლის ზაფხულში ლალი მამას — ვალიკო ოტიაშვილს გაჰყვა მექათმეობის ფერმაში. იმ ზაფხულს მან 50 კალენდარული შრომადღე გამოიმუშავა, მომდევნო წლებში კი უმატა შრომადღეებს.

1977 წლიდან ლალიმ თავის უმცროს დას ლეილას „გადააბარა" მექათმეობის ფერმა, თითონ კი თავის ბიძაშვილებს — ზურიკო და ბესიკ ოტიაშვილებს გაუამხანაგდა და კომბაინზე შტურვალისტად დაიწყო მუშაობა.

„შტურვალისტობა საჩემო საქმე არ არის, საკუთარი ტრაქტორი უნდა ვანავარდო ამ ვენახებშიო" — ფიქრობდა ლალი.

ქალიშვილმა მალე დაუმტკიცა ყველას, როგორ შეეძლო ტრაქტორის საჭის მართვა.

ლალიმ 1980 წელს მექანიზატორთა საკავშირო კონკურსში გაიმარჯვა, რისთვისაც სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს.

დღეს ლალი ოტიაშვილი პირველი ტრაქტორისტი ქალის ელენე ნატროშვილის სახელობის პრიზის მფლობელია, მიღებული აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სიგელი, საქართველოს ალკკ და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტების სიგელები. 1978, 1979, 1980 წლებში დაჯილდოებულია შეჯიბრებაში გამარჯვებულის სამკერდე და X ხუთწლედის დამკვრელის სამკერდე ნიშნებით. ლალი ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" კომკავშირის კომიტეტის მდივანია და ყოველგვარ თაოსნობას უდგას სათავეში.

1980 წელს დოლის პერიოდში, მეცხვარეთა დასახმარებლად 50 კომკავშირელი წავიდა ფერმებში. ლალი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. თებერვალ-მარტი დოლში გაატარა მეცხვარეებთან. ამ ხანებში თითქმის ყველა რესპუბლიკურმა გაზეთმა და ჟურნალმა უძღვნა მას სტატიები. ფოტოებიც ბევრი დაიბეჭდა, მეცხვარის ფაფახით და ნაბდით გამოწყობილი ლალისა.

წლეულს საარაკო შრომა გასწიეს კახელმა მევენახეებმა. ამინდი ჭირვეულობდა. ქუდზე კაცი გამოვიდა ვაზის საშველად.

ახალგაზრდული ბრიგადის მექანიზატორებს დღე და ღამე გაერთიანებული ჰქონდათ. ყველას უკვირდა ლალის ამტანობა. მისი ბრიგადის წევრებმა 424 ჰექტარი ვენახი 10-ჯერ შეწამლეს, 6-ჯერ შეაფრქვიეს გოგირდი.

რთველი რომ მოახლოვდა, ათასი მოსამზადებელი სამუშაო ჰქონდა ლალის. კომკავშირის კომიტეტის მდივნობაც ბევრ რამეს ავალებდა. ახალგაზრდებმა გადაწყვეტილება საქმედ აქციეს, უმოკლეს დროში დაამთავრეს რთველი.

ნანი ოქრუაშვილი

## დედის თვალები...

მისით იწყება ცხოვრების გზები
და მერე გზები ჩემი გრძელდება.
მჩქეფარებს სისხლი, ძარღვთა ალმგზნები
მგოსანს სიცოცხლის ალი მედება.
წავიბორძიკებ, ლამის დავეცე
ნუგეში ამ დროს ყველაფერს მიჯობს.
დედის თვალები ღელვით დამეძებს:
„გამაგრდი, აბა, არ წახდე ბიჭო".
ვშრომობ და, მხარში ვუდგევარ ტოლებს
აბა უშრომლად ამ ქვეყნად რა ვართ.
დედის თვალები წამით არ მტოვებს,
სანამ დედა მყავს, ამირანს ვგავარ.
სად უნდა ვიყო, ქვეყნის რა მხარეს,
ზაფხულია თუ დრო ფერთცვალების,
მტუქსავს, მამხნევებს, მათბობს, მახარებს,
ყველგან დამყვება დედის თვალები.

* * *

რომ არ ყოფილიყო ომი?
მექნებოდა კარგი ბავშვობა.
რომ არ ყოფილიყო ომი?
მამა უეჭველად მიყიდდა ბურთს.
და ახლა მე, ნაადრევად თმაშეჭირხლულ
ადამიანს, მაქვს ბურთი რომლითაც
თამაშის უფლებას ვერავის ვერ მივცემ.
ეს ბურთი — დედამიწაა...

ჯემალ დოგორჯგინიძე

## მომეფერე

მომეფერე, გადამისვი თმაზე ხელი,
რომ სიცოცხლის სურნელება უკეთ ვიგრძნო,
შემომძარცვე ნაზამთრალი სამოსელი,
ერთხელ კიდევ გაზაფხულდეს ჩემთვის,
ვინძლო;
ერთხელ კიდევ ამოვარდეს გულში ქარი,
მზეს და წვიმას, სხივსაც წვეთზე დავეკიდო,
რომ გავექცე დარდს და -ნაღველს ურჩი
ქალი
და ლოყებზე ატმის ცეცხლი წამეკიდოს.

რუსუდან გიგინაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემს პატარას

ცამ გადიყარა გვრგვინვა და მეხი,
ცამ მზე იწამა ერთადერთ ღმერთად,
ჰოი, ყაყაჩოვ, აგიდგამს ფეხი
სასწაულივით მოსულხარ ჩემთან.

ჩემო ფერიავ, მოხველ საიდან,
საიდან მოჰყევ აპრილის ქარებს,
იქნებ კოჯრიდან ანდა დიღმიდან,
ან კრწანისიდან გამოიპარე.

ახლა კელაპტრად აგინთე სულში,
ბევრიც ინდომო, ვერ გამექცევი.
შენ ამიყვავე ვარდი და ნუში,
შენ გადაპენტე ჩემი ტყემლები,

ახლა ჩემი ხარ მზის ტყუპისცალი,
შენ ნუგეში და დარდი ხარ ჩემი,
ჩემი სიცოცხლე შენ გენაცვალოს,
მე გაგიკაფო სავალი გზები,

ეს დაგელოცოს გზები მართალი,
მე მზეს გაჩუქებ ღიმილის დარად,
შენ გაზაფხულზე მოხველ ნარნარით,
გაზაფხულივით ენთები მარად.

დარეჯან კვანჭიანი

* * *

დაიბადება პატარა ლექსი
ფიქრით და თრთოლვით,
ღუღუნა ხმებით.
ურითმებოდ და უსათაუროდ,
გოგონასავით გაწეწილ თმებით...
გაღიმებული, ცისფერ თვალებით,
სულ ბაკი-ბუკით დაივლის ოთახს,
გაოცდებიან კუთხის ქალები,
კედლებს ისეთი ფერებით მორთავს...
...მერე, მეწვიონ დარდები თუნდაც,
მაინც ამავსებს წკრიალი მისი,
და ვიოცნებებ, რომ იყოს მუდამ
ჩემი ლამაზი მთა-ბარის ღირსი...

იზო ცარციძე

# სასიამოვნო განწყობას მოგანიჭებთ

ამ ცოტა ხნის წინათ დიდი საქმე გაკეთდა... დაბალხარისხოვანი ჩაისა და მისი ნარჩენებისაგან შეიქმნა თხევადი ჩაის კონცენტრატი და გამაგრილებელი სასმელი „ბახმარო“. ერთიც და მეორეც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

— როგორ წარმოიშვა ჩაის ნატურალური კონცენტრატის შექმნის იდეა? — ამ კითხვით მივმართეთ ჩაის მრეწველობის საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსს ენვერ მალაზონიას.

— ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამჟამად ჩაის წარმოების დარგში მეთაური სამეცნიერო-ორგანიზაციაა საკავშირო მასშტაბით. იმ მრავალრიცხოვან მეცნიერულ მიღწევათა შორის, რომლებმაც ფართო აღიარება ჰპოვა, გვინდა შევჩერდეთ ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ ჩაის ახალი სახის თხევადი კონცენტრატის შექმნასა და მის წარმოებაზე.

თხევადი ჩაის კონცენტრატის შექმნის იდეა ჩამოყალიბდა ტექნიკური ბიოქიმიის განყოფილებაში და დაიწყო კიდეც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ამას ხელმძღვანელობდნენ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ძნელაძე და ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი აწ განსვენებული გერმანე ხარებავა. შემდეგში აღნიშნული საკითხის პრაქტიკულად დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის თანამშრომელმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ამჟამად მახარაძის ჩაის ნატურალური კონცენტრატების კომბინატის დირექტორმა მანუჩარ მამეიშვილმა.

ჩაის წარმოების ნარჩენებისაგან, აგრეთვე ძნელად სარეალიზაციო პროდუქციისაგან ისეთი საუკეთესო პროდუქტის მიღება, როგორიც ნატურალური კონცენტრატია, კარგი საჩუქარია, ჯერ ერთი, ეს სიახლე მილიონობით მანეთ მოგებას მისცემს სახელმწიფოს და, მეორეც, რაც მთავარია, მომხმარებელი მიიღებს ჩაის ძვირფას სასმელს, რომელიც თავისი ყველა შემადგენლობით და კვებითი ღირებულებით უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციისაგან შემზადებულ არც ერთ ნაყენს არ ჩამოუვარდება. კონცენტრატი, რომელიც შემზადებულია, აგრეთვე შაქრისა და ლიმონის წვენით, გამოდის მინის ქილებით.

თუმცა კონცენტრატი თავისი დაბადების ერთ წელზე ცოტა მეტ ხანს ითვლის, მასზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ქალაქ მახარაძიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით აშენდა ჩაის ნატურალური კონცენტრატის კომბინატი. საყურადღებოა, რომ კომბინატის ძირითად საწარმოებში ნედლეულად დაბალხარისხოვან ჩაის და ჩაის ნარჩენებს იყენებენ; ჩაის ნატურალური კონცენტრატის კომბინატის შექმნამ კიდევ ერთი სიახლე შემატა ჩაის მრეწველობას. კერძოდ, კომბინატის დირექტორის მანუჩარ მამეიშვილის წინადადებით, კონცენტრატის წარმოების დროს მიღებული ნარჩენი (ჩაის გამონახარში) გამოიყენეს საამშენებლო ფილების მისაღებად. საცდელი ნიმუში, რომელიც დაამუშავა სამტრედიის საწნეხმა ქარხანამ, მოწონებულია და მალე ფილების წარმოების საამქროც გაიხსნება.

კითხვაზე, თუ რა დაედო საფუძვლად ახალი სახის თხევადი კონცენტრატის შექმნას, — ანასეულის ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნიკური ბიოქიმიის განყოფილების გამგემ, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ზურაბ ძნელაძემ გვიპასუხა:

— ჩაის მცენარის პოპულარობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორი ის არის, რომ მას ტოლი არა ჰყავს ტანინ-კატექინური კომპლექსის რაოდენობრივი შემცველობის მიხედვით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ძვირფას ნივთიერებას შეიცავს, როგორც ნორჩი, ისე ზრდადამთავრებული დუყები, (ოღონდ, — ნაკლები რაოდენობით). კვლევით დავადგინეთ, რომ ჩაის წარმოების ნარჩენები (ჯოხები, ბუსუსები, ფირფი-



ტები, ჩაის მტვერი) და დაბალი ხარისხის პროდუქცია (მიღებული მოუხეშო და უხეში ჩაის დუყებისაგან) შეიცავს თითქმის ყველა იმ ძვირფას, წყალში ხსნად ნივთიერებებს, რომლებიც მოცემულია ხარისხოვან ჩაის პროდუქციაში. სწორედ ეს დაედო საფუძვლად დაბალი ხარისხის ნედლეულის ბაზაზე ახალი სახის ჩაის პროდუქტის შექმნას, რომელიც თავისი სამომხმარებლო თვისებებით გაუტოლდა ხარისხოვან ჩაის პროდუქციას.

მიღებულია კიდევ კონცენტრატის ახალი სახეობა, ჩაის ნატურალური მშრალი კონცენტრატი. იგი მშრალი ჩაის ფხვნილია და მისი გამოყენება შეიძლება იმავე წესით, როგორც გამოიყენება ხსნადი ყავა. მშრალი ჩაის კონცენტრატი სასიამოვნო გემოსა და არომატს აძლევს ჩაის სასმელს. საცდელ პარტიებად მიღებულია ყვითელი და ყავისფერი მშრალი ჩაის კონცენტრატები, რომლებსაც, როგორც სავარაუდოა, ფართო გამოყენება ექნება საკონდიტრო მრეწველობაში, რძის პროდუქტების წარმოებაში, კერძოდ, მაღალი ხარისხის ნაყინის მოსამზადებლად. ასე რომ, ჩაის ნატურალურ კონცენტრატებს ახლო მომავალში დიდი პერსპექტივა აქვს.

ინსტიტუტის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1978 წლის აგვისტოში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარიძის სტუმრობა. საპატიო სტუმრები მონაწილეობდნენ ახალი, თხევადი სახის ჩაის პროდუქციის დეგუსტაციაში. ამ სტუმრობისას ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საკითხი, რომელზეც მუშაობს ინსტიტუტი, — ნედლეულის რაციონალურად გამოყენებისა და ახალი სახის თხევადი ჩაის კონცენტრატების შექმნა, — ეს არის სწორი მიმართულება სამამულო ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის გზაზე. ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს მუშაობა და უახლოეს პერიოდში მოეწყოს აღნიშნული სახის პროდუქციის საწარმოო ათვისება.

კონცენტრატის ბაზაზე შეიქმნა და დამუშავდა სრულიად ახალი სახის გამაგრილებელი სასმელი „ბახმაროს“ სახელწოდებით, რომელსაც მახარაძის ჩაის კონცენტრატების კომბინატი უშვებს. ეს წყალი მიწის გულუხვი საჩუქარი როდია, იგი ადამიანის ხელისა და გონების ნაყოფია. ბოთლში მუქი ფერის სითხე დგას. იგი ხევსურულ ლუდს მოგაგონებთ. ამ სასმელს ჯერ ბევრი არ იცნობს. „ბახმარო“ მახარაძის ჩაის მრეწველობის საკავშირო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომლების მანუჩარ მამეიშვილის, ნანი კოპალიანის და სხვათა ერთობლივი ძიების შედეგია, „ბახმარომ“ მალე გადაინაცვლა ადგილი ქარხანაში. იგი ინარჩუნებს ქართული ჩაის ყველა თვისებას და თამამად უწევს მეტოქეობას უცხოური ფირმების მიერ შემოთავაზებულ სახელმოხვეჭილ სასმელებს.

— რას გვეტყვით დღევანდელი კომბინატის შესახებ?

ამ კითხვით მივმართეთ მახარაძის ჩაის კონცენტრატების საწარმოო გაერთიანების კომბინატის დირექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს მანუჩარ მამეიშვილს:

— ყველაზე მთავარი ქარხანაში ტექნოლოგიური ციკლისა და საწარმოო პროცესების ათვისებაა. საქმე ის გახლავთ, რომ წარმოებისათვის გათვალისწინებული მექანიზმები ჯერჯერობით არა გვაქვს. ჩვენც ვცადეთ „ბახმაროს“ ჩამოსასხმელად ჩვეულებრივი ლიმონათის ჩამოსასხმელი [illegible] გამოგვეყენებინა. ზემდგომი ორგანოების დახმარებით მივიღეთ კიდეც მოწყობილობა, დაამონტაჟეს, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაიარა, რადგან „ბახმარო“ საკუთარ მოწყობილობას ითხოვს. დღეისათვის ამ სასმელის ჩამოსხმა ხელით ხორციელდება. ამიტომ წარმოებაც ფერხდება ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში წლიურად ხუთი მილიონი ბოთლი „ბახმარო“ უნდა მიიღოს მომხმარებელმა. დარგის სპეციალისტები უახლოეს ხანში შექმნიან „ბახმაროს“ საჭირო კონვეიერს.

საუბარი ჩაიწერა **ნუნუ ჩიხრაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმატებები, ისევ წარმატებები

ყველა უმნიშვნელოვანესი საჭადრაკო შეჯიბრება ტრადიციულად შემოდგომაზე იმართება ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც. ჩვენს გულშემატკივრებს ერთბაშად რამდენიმე საზრუნავი გამოუჩნდათ. ბორჯომსა და თბილისში მიმდინარეობდა მორიგი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა ალექსანდრიას შორის, ხოლო ივანო-ფრანკოვსკში — საკავშირო ჩემპიონატი ოთხი ქართველი მოჭადრაკის: ნონა გაფრინდაშვილის, ნანა იოსელიანის, ნინო გურიელისა და თამარ ხუგაშვილის მონაწილეობით.

როდესაც რაიმე დიდი ასპარეზობა იწყება, საჭადრაკო მიმომხილველები, ბუნებრივია, გამოჩენილ დიდოსტატებს მიმართავენ და ცდილობენ მათი აზრი გაიგონ. ჩიბურდანიძე-ალექსანდრიას მატჩის წინ ჩვენც რამდენიმე ასეთი შეხვედრა გვქონდა. როგორი იყო ექსპესტების აზრი? ყველა მათგანი აშკარა უპირატესობას 20 წლის მაია ჩიბურდანიძეს ანიჭებდა, თუნდაც იმიტომ, რომ მან ბოლო სამი საჭადრაკო სეზონის მანძილზე გასაოცარ წარმატებებს მიაღწია. მაიამ ქალთა შორის ბევრჯერ მოიპოვა პირველი ადგილი. ბოლოს, ამასაც რომ აღარ დასჯერდა, ვაჟებს დაერია. ხუმრობა ხომ არ იყო, ჩიბურდანიძემ რამდენიმე ცნობილ დიდოსტატს სძლია (მათს რიცხვში ტაიმანოვსა და ტუკმაკოვს), ხოლო ანტოშინს მხოლოდ 1981 წლის განმავლობაში ოთხჯერ შეხვდა და ოთხჯერვე დაამარცხა! მაშ ასე, ექსპერტების „განაჩენი“ მომავალი მატჩის შესახებ ერთსულოვანი იყო. ამ ფონზე დისონანსად გაისმა მსოფლიოს მრავალნაცადი ექს-ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის ხმა, რომელიც მსოფლიოს პირველობის ორთაბრძოლაში მეტისმეტად შეუპოვარ თამაშს მოელოდა, როცა უპირატესობა ხელიდან ხელში გადავიდოდა და გულშემატკივრებსაც ბევრი თავსატეხი გაუჩნდებოდათ. „გასაგებია, რომ წინასწარი უპირატესობა მაიას ენიჭება — გვითხრა ნონამ — მაგრამ მისი ამოცანა არავითარ შემთხვევაში არ იქნება იოლი. თუ ნანა ალექსანდრია კარგად მოემზადება, მას შეუძლია, მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს“.

ნონა გაფრინდაშვილს ჭადრაკში ყველაფერი უნახავს და განუცდია. საბოლოო ანგარიშით, სწორედ მისი აზრი აღმოჩნდა აწორი.

თუ მომზადებაზე ვილაპარაკებთ, ამ მხრივ პრეტენდენტმა მართლაც რომ დიდი შრომა გასწია. დავიწყოთ იმით, რომ მას უაღრესად კვალიფიციური მრჩევლები ჰყავდა: დიდოსტატი პალატნიკი, ცნობილი მეთოდისტი, საერთაშორისო ოსტატი დვორეცკი, ახალგაზრდა ოსტატი გავრიკოვი, რომელიც „ერთი ხელის მოსმით“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოხვდა. ამ მრჩევლების დახმარებით პრეტენდენტმა მატჩისათვის რამდენიმე საინტერესო სადებიუტო სქემა მოამზადა, რომლებმაც ჩემპიონი, როგორც შემდეგ გამოირკვა, მრავალ ხიფათს გადაჰკიდა. უდავოდ სწორი იყო ამ ექსპერტების რჩევაც, — პრეტენდენტს მატჩის წინა ხანებში სერიოზულ შეჯიბრებებში მონაწილეობისაგან თავი შეეკავებინა, რათა საჭირო მომენტში მეტი სათამაშო განწყობილება ჰქონოდა.

ერთი სიტყვით, ნანა ალექსანდრია ამ მატჩს მეტისმეტად მომზადებული შეხვდა.

რაც შეეხება ჩემპიონს, თითქმის ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, ვინ შედიოდა მის „შტაბში“. აი, რა გამოირკვა: „შტაბი“ შედგებოდა სამი ახალგაზრდა ოსტატისაგან — ტალინელი ვეინგოლდის, დნეპროპეტროვსკელი ოხოტნიკისა და ლენინგრადელი პოლოვოდინისაგან. არცერთი მათგანი ჩვენ ადრე ჩიბურდანიძის „გარემოცვაში“ არ გვინახავს. ამასთან მეტად საინტერესო იყო, რას დაუპირისპირებდნენ ეს ოსტატები ალექსანდრიას მრჩევლებს, რომლებიც მათ გამოცდილებითაც სჭარბობდნენ და კვალიფიკაციითაც.

თვით მატჩზე ჩვენ მაინცდამაინც სიტყვას არ გავაგრძელებთ — გულშემატკივრები მისი მსვლელობის დროს კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. ვიტყვით მხოლოდ რომ მაიას წარუმატებელი სტარტი მაინცდამაინც მოულოდნელი არ ყოფილა — იგი ხშირად მარცხიანად იწყებს შეჯიბრებებს. მან შემდეგში საკმაოდ იოლად გამოასწორა მდგომარეობა, მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — შექმნილ ვითარებაში მეტოქესთან თეორიულ ვარიანტებში დავა ხელს არ მისცემდა. ჩიბურდანიძე ასეთ გზას დაადგა — ყველა პარტიაში ახალ-ახალ, ნაკლებად ცნობილ დასაწყისს ირჩევდა, რათა პრეტენდენტს არ გამოეყენებინა შინ საგულდაგულოდ დამუშავებული სქემები. შესაძლოა, ჩემპიონი ასეთი დებიუტების გამოყენებით ვერავითარ უპირატესობას ვერ აღწევდა, მაგრამ ალექსანდრიას ხანგრძლივი ფიქრი უხდებოდა, მომდევნო ცაიტნოტში კი მას მეტი შეცდომა მოსდიოდა, ვიდრე ჩემპიონს. პრეტენდენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბევრჯერ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა მეტოქე. განსაკუთრებით დიდი საფრთხე ემუქრებოდა ჩიბურდანიძეს მეთოთხმეტე პარტიის დროს (ამ მომენტში ანგარიში თანაბარი იყო 6,5 : 6,5). როცა იგი მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა, მიიღო რა დიდი პოზიციური უპირატესობა, ალექსანდრიამ ვერ მიაგნო მისი გამოყენების გზას და, ჩვენი აზრით, მატჩის ბედიც ძირითადად სწორედ ამ პარტიაში გადაწყდა. მომდევნო შეხვედრა უკვე ჩემპიონმა მოიგო.

მატჩის საბოლოო ანგარიში — 8 : 8, ჩვენი აზრით, კანონზომიერია. ჩემპიონი პრეტენდენტს სჭარბობდა უპირატესობის რეალიზაციაში, მაგრამ ალექსანდრია ამჯერად უმეტეს შემთხვევაში უფრო ცოცხლად და ენერგიულად თამაშობდა. ორივე მეტოქე ჩინებულად უტევდა, შეუპოვრად იცავდა თავს, ტექნიკის მაღალ დონეს გვიჩვენებდა ენდშპილში. საერთო ანგარიშით, ალექსანდრიას მაინც მეტი შეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნონა გაფრინდაშვილი



თამარ ხუგაშვილი



ნანა იოსელიანი



ნინო გურიელი

დომა მოსდიოდა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრეტენდენტმა ამ მატჩში ბევრს მიაღწია თეორიული თვალსაზრისით. მან თვალნათლივ დაამტკიცა, რომ რამდენიმე დებიუტი, რომელსაც ჩემპიონი იყენებს, სანდო არ არის. ამან, ცხადია, კიდევაც იმოქმედა მატჩის მსვლელობაზე.

ერთი სიტყვით, მაია ჩიბურდანიძემ შეინარჩუნა თავისი წოდება, ნანა ალექსანდრია კი, ჩვენი აზრით, ისევ იქნება ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი პრეტენდენტთა მომავალ (1983 წლის) ბრძოლაში. ამის მომასწავებელია მისი მაღალი კლასი და დიდი საჭადრაკო კულტურა. ალექსანდრია იყო და რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს და პოპულარულ მოჭადრაკედ.

მსოფლიო პირველობა იმის მსოფლიოს პირველობაა, რომ ყველა დანარჩენი შეჯიბრება უნდა დაჩრდილოს. მაგრამ, ეტყობა, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ივანო-ფრანკოვსკში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატმა მას ერთგვარი მეტოქეობა გაუწია. იქ მართლაც რომ მშვენიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, ბრძოლა კი ბოლო ტურამდე მეტად შეუპოვარი იყო.

* * *

**ნონა გაფრინდაშვილისათვის** საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ახალი ხილი არ არის. სასიხარულოა, რომ ნონამ ეს წოდება მესამედ სწორედ მაშინ მოიპოვა, როცა მისი საჭადრაკო მოღვაწეობის მე-25 წლისთავი აღინიშნა. ამ 25 წლის მანძილზე ამაგდარმა დიდოსტატმა მრავალი წარმატებით გაგვახარა და, ეჭვი არ არის, შემდეგშიც ბევრ წარმატებას მოიპოვებს. ივანო-ფრანკოვსკში ნონა პირველ ნახევარში რამდენადმე შებორკილი თამაშობდა და, ამდენად, ლიდერებს ჩამორჩა. მაშინ, როდესაც ეს ლიდერები სერიოზულად წავიდნენ წინ და თითქოს მათთან ბრძოლა მეტად გაჭირდა, გაფრინდაშვილმა რამდენიმე რიგითი ბრწყინვალე გამარჯვებით აღადგინა წონასწორობა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

თუ ნონა მესამედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ოქროს მედალი პირველად მოიპოვა ჩვენმა სახელოვანმა მოჭადრაკემ **ნანა იოსელიანმა.** ივანო-ფრანკოვსკში იგი თავიდან ბოლომდე ლიდერობდა, — ასე ვთქვათ, პირველი ტურიდან მეჩვიდმეტემდე. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ იოსელიანის შედეგები მეტისმეტად თანაბარია — 1981 წლის მანძილზე საერთაშორისო ტურნირებშიც გაიმარჯვა და საკავშირო ტურნირებშიც. შესამჩნევია 19 წლის ნანას შემოქმედებითი ზრდა, მისი სადებიუტო რეპერტუარის გამრავალფეროვნება, ტექნიკის დახვეწა. პრეტენდენტთა მომავალ შეჯიბრებაში (აქ იოსელიანს, ისევე, როგორც ალექსანდრიას, შერჩევა არ ეხება, პირდაპირ მონაწილეობის უფლება აქვს). იგი, ეტყობა, ასევე გამოიჩენს თავს.

**თამარ ხუგაშვილი** ივანო-ფრანკოვსკში როგორც სპორტული, ისე შემოქმედებითი თვალსაზრისით საუკეთესოთა შორის იყო და ღირსეულად ხვდა ბრინჯაოს მედალი. როცა პოზიცია მწვავდება და მეტოქის განლაგებაში შეტევის ობიექტი ჩნდება, თამარი, — მდიდარი ინტუიციის მოჭადრაკეა, — მარჯვედ, გონივრულად ატარებს იერიშს. როცა ინიციატივა მეტოქის მხარეზეა, ხუგაშვილი ფარხმალს არა ჰყრის, დიდი მოთმინებით და ზომიერებით თამაშობს. ერთი სიტყვით, მას კარგი სპორტული თვისებები აქვს და უნდა მიაღწიოს კიდეც საწადელს — დიდოსტატის წოდებას.

დასრულდა კიდევ ერთი, მოვლენებით მეტად მდიდარი საჭადრაკო სეზონი. წინ არის ახალი, რომლის მთავარი ღონისძიებაც მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირები იქნება ქართველი მოჭადრაკეების მონაწილეობით. აქ ნონა გაფრინდაშვილი და ნინო გურიელი ითამაშებენ და, შესაძლოა, ეს უფლება თამარ ხუგაშვილმაც მოიპოვოს. ვუსურვოთ მათ წარმატებები, წარმატებები და ისევ წარმატებები!

**გივი გამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კანდელაკი

# FORTUNA

ნოველა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

რედაქციაში მისვლაც ვერ მოასწრო ლევანმა, რედაქტორმა დაიბარა, დავალება მისცა — ზესტაფონის რაიონის მშრომელებს უნდა მივუძღვნათ გვერდი, სამი-ოთხი ნარკვევი დაწერილი უნდა ჩამომიტანო და, თანაც ხელს არ გადაუვე, მომავალ სამშაბათისთვის უნდა გავუშვათ ნომერშიო.

— მაშ დღესვე წავალ.

— ახლავე წადი, — ავტობუსით, მატარებლით, იქნებ შენი მანქანითაც. მეტი მასალა ჩამოიტანე, ასარჩევი რომ იყოს. ნახე რაიკომის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე. ისინი თვითონ გიკარნახებენ, ვისზე დასწეროო. მარტო ქებას ნუ ჩამომიტან, ნაკლიც იყოს, იმათი სათხოვარიც. ერთი სიტყვით, აბა შენ იცი... ჩადი ბუღალტერიაში, მივლინება გამოწერილი იქნება. გზა მშვიდობისა!

ერთი საათის შემდეგ ლევანი ზესტაფონისკენ მიაქროლებდა მანქანას. ის იყო კახეთიდან დაბრუნდა და, ცოტა ეწყინა კიდეც, სულის მოთქმის საშუალება რომ არ მისცეს, მაგრამ ვერ შეეპასუხა რედაქტორს, იცოდა, რა პასუხსაც მიიღებდა: — უცოლო ხარ, კიდევაც უნდა გიხაროდეს მოგზაურობაო.

— შენს მეტი აღარავინ არის მაგ რედაქციაში? — გაბრაზდა ლევანის დედა, მივლინების ამბავი რომ გაიგო.

— უცოლო მეღა დავრჩი, ჰოდა...

— შენც რომ ცოლს შეირთავ, დაიხურება მერე ეგ რედაქცია?

— მერე რიგ-რიგობით ვივლით...

— ჰოდა, ქენი სიკეთე, მენატრება სახლში შენი ნახვა.

— კარგი რა, დედა, შენც დაიჯერე, რომ მივლინებაში მხოლოდ მე დავდივარ?

— მაინც არა მგონია, შენსავით ხშირად ვინმე დაწანწალებდეს რაიონიდან-რაიონში.

— ერთი სიტყვით, გემშვიდობები ოთხი დღით.

— არ დალიო, ბიჭო!

— ვეცდები.

ლევანი დიდი ხანი არ იყო, რაც რედაქციაში მოვიდა, კიდევაც მოსწონდა მივლინებებით მოგზაურობა: კახეთი, ქართლი და სამცხე-ჯავახეთი თითქმის მოიარა.

„ახლა დასავლეთსაც მოვინახულებ. მართლაც, რა სჯობს მგზავრობას, მაგრამ ამ თბილისშიც რომ მინდა ყოფნა... რამდენი პრემიერა გავაცდინე“, — გაიფიქრა სინანულით ლევანმა. რიკოთის ულელტეხილისკენ გაიხედა, ახალ გზაზე მეტი სიჩქარით გააქროლა მანქანა და უკვე გაიაზრა, რომ პირველ წერილს მიუძღვნიდა ზესტაფონის უპირველეს პრობლემას — ჰაერის სავსებით გასუფთავებას ფეროს მჭრჩოლავი გამონაბოლქვებისაგან.

„ერთ წერილს სახელოვან კოლმეურნეზე დავწერ, ერთ ნარკვევსაც ინტელიგენციის რომელიმე წარმომადგენელზე და გავქუსლავ თბილისში“, — დაგეგმა თავისთვის ლევანმა.

მართლაც, ქარხნის მიღწევებზე, ხელისშემშლელ საკითხებზე პირველ დღესვე დაწერა ბარე ექვსგვერდიანი წერილი. მეორე დღეს საქარის კოლმეურნეობას ეწვია სახელოვან კოლმეურნეს მიუძღვნა ნარკვევი. მესამე დღეს კი, ზესტაფონში რომ დაბრუნდა და ერთ-ერთ სკოლას უნდა სწვეოდა, სადგურის მოედანზე ინსტიტუტის მეგობარს — შოთა ექალაძეს შეხვდა.

— ე, ბიჭო, წამოდი შორაპანში, ჯერ ერთი, ჩემს ოჯახს გაგაცნობ, მეორეც ჩემს სკოლაზე დაწერე რამე, რა მოხდება? დამსახურებული მასწავლებელი მყავს, ფიზიკოსი, ომგადახდილი კაცი, კაი, გამოცდილი მებაღე, ახლა რა მოსაუბრე! ისეთი კაცია, მადლობას თვითონ მეტყვი, მე არ მოგიკვდე.

ლევანს ეუხერხულა კიდეც, რამ გადამავიწყა, ინსტიტუტის მეგობარი ამ რაიონში სკოლის დირექტორად რომ მუშაობსო და, დანაშაულის გამოსასყიდად მობოდიშებით უთხრა:

— საერთოდ, შენს სკოლაზე დავწერ წერილს და იმ თქვენს ფიზიკის მასწავლებელსაც მოვიხსენიებ.

— ა, მე არა, ჩემზე კრინტიც არ დასძრა. ჯერ რა გამიკეთებია. იმ კაცზე კი ნამდვილად გთხოვ, კარგად დაწერო, როგორც ეკუთვნის.

შორაპანში რომ ჩავიდნენ, შოთამ სტუმარი ჯერ შინ მიიპატიჟა, ცოტას დავნაყრდეთო. ოჯახის დიასახლისები, — რძალ-დედამთილი გულღიად, იმერული მასპინძლობისთვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით შეხვდნენ თბილისიდან ჩამოსულ სტუმარს. სახელდახელოდ სუფრა გაშალეს, მეგობრებმა სტუდენტობა გაიხსენეს და მერმე, უკვე სკოლაში წასვლა რომ დააპირეს, ლევანს ქალის საოცარი, გულშიჩამწვდომი ხმა მოესმა, აივნიდან ეზოში რომ ელაპარაკებოდა ვიღაცას.

— ვანიჩკა, ძვირფასო, წერილი არ მომიტანე?

—წერენ, მარიეტა, წერენ, ჯერ გზაშია, აცალე ქალო და აბა არ მოგიტან? პატარაც მეიცადე...

— ეჰ, შენ სულ ასე მპირდები მოგიტან, მოგიტანო და სად არის?

— რაც არ მოსულა, მარიეტა, რა მოგიტანო, თუ გინდა მე მოგწერ მოკითხვის წერილს, მარა იგი ის არ იქნება, ქე რო შენ გინდა.

—შენი მოწერილი ბარათი რად მინდა, რა თავს იგდებ...

— მეიცადე პატარაც, აუცილებლად მოგწერენ...

ლევანმა ტილოს ფარდა გადასწია: ახოვანი ქალი დაინახა, ოდნავ თმაშევერცხლილი, წარსული მომხიბვლელობის იერი კიდევ რომ შერჩენოდა. ქალს მხრებზე შესამჩნევად გაცრეცილი აბრეშუმის ხალათი ეცვა, გრძელი, ოდნავ სრული გიშრისთვლიანი საყურე ეკეთა და, ორივე ხელის თითებზე რამდენიმე, თუმცალა აშკარად იაფფასიანი თვლებით უბრჭყვიალებდა ბეჭდები.

— ვინ არის ეს მანდილოსანი? — დაინტერესდა ლევანი.

—მარიეტა კვირიკაძეა, ჩვენი მეზობელი. ოდესღაც, ახალგაზრდობისას, ჩვენს სცენაზე უთამაშია, მსახიობად მოაქვს თავი და მთელი სიცოცხლე რაღაც მოსალოც წერილს ელოდება. ყველა „შერეკილს“ ეძახის. დედაჩემს ეცოდება და, როგორც ოჯახის წევრზე, ისე ზრუნავს.

— მეცოდება. რა ვქნა... უცნაური ქალია ცოტა, უყვარს რაღაცეების გახსენება, კი არა მჯერა, მაგრამ მაინც ვუსმენ და იმასაც უხარია... — თქვა მინადორამ.

— ახლა აღარ იღებს მონაწილეობას სპექტაკლებში?

— იმე, ჩვენი კულტურის სახლის მსახიობებს იკადრებს მარიეტა? — გაეცინა შოთას, — ქალს თავი მოაქვს, ვასო გოძიაშვილის და აკაკი ხორავას პარტნიორი ვიყავიო.

— იგონებს? — ჰკითხა ლევანმა შოთას დედას.

— კაი ხნის ამბავია, მაგრამ მოხუცები ამბობენ. არ იგონებსო, ისე, რაღაც აფიშებიც აქვს, თუ დაეჯერებათ რამე... აქამდე იცის ზეპირად მარეხის და დეზდემონას ტექსტი. ორმოც წელზე მეტია ერთსა და იმავეს იმეორებს, მაგან კი არა, ლამის მეც ზეპირად ვისწავლო იმათი სიტყვები, — ღიმილს ძლივს იკავებდა მინადორა.

— კი, მაგრამ რა წერილს ელოდება, ვისგან?

— სამოცის სრულდება, აგერ, ახლა და, თეატრალური საზოგადოებისგან ელის რაღაც მოლოცვას, — გაეცინა შოთასაც, — ასე დაუდარაჯდება წერილების დამტარებელს და, ხომ გაიგონე რა უთხრა. რაც ჩემი თავი მახსოვს. ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება. ვანიჩკა მაგის ტოლაა და, ეტყობა, კიდეც სიამოვნებს ეს თა-

მაში, ყოველშემთხვევაში, არ მახსოვს, მარიეტას შეკითხვაზე პასუხი არ გაეცეს.

— საინტერესო ბიოგრაფიის ქალი ყოფილა.. ეხუმრები, საქვეყნოდ ცნობილი მსახიობების გვერდით განუსახიერებია მარეხი და დეზდემონა. ეს უკვე, ჩემო შოთა, ისტორიის კუთვნილებაა და, ამდენად, ქალბატონი მარიეტა კვირიკაძე იმ გარდასულ დღეთა ცოცხალი მატიანეა...

მასპინძლებმა ერთმანეთს გახედეს.

— ერთხელ მარეხი ითამაშა და ერთხელ დეზდემონა, თანაც ეჰეი, როდის, ქალი სამოცის ხდება, რაღა მნიშვნელობა აქვს მაგის ამბავს... — თვალები ააპარპალა შოთას ცოლმა.

— აქვსო, გელაპარაკება ადამიანი და გაიგონე შენც! — გაბრაზდა შოთა.

— აი, ნახავთ, სულ რამდენიმე დღეში თქვენი მარიეტა ამ პატარა ქალაქის ყველაზე გამოჩენილ ადამიანად იქცევა, — ძალზე მშვიდად თქვა ლევანმა, ფარდა ისევ გადასწია და აივნისკენ გაიხედა, მაგრამ მარიეტა წასულიყო და ლევანმა მეგობარს სთხოვა, — თუ არ იწყენს, გამაცანი შენი მეზობელიო.

— წერილის დაწერას ხომ არ აპირებ მარიეტაზე?

— ფაქტების დამადასტურებელი მასალა თუ ექნება, სიამოვნებით დავწერ.

— წავიდეთ, აბა... — თქვა შოთამ და მეზობელს ღია კარზე მიუკაკუნა, — მარიეტა, სტუმარია შენთან, მიგვიღებ?

— ვინ სტუმარი? — გამოიხედა მარიეტამ, თმა შეისწორა და გაოგნებული მიაჩერდა ლევანს.

— კორესპონდენტია გაზეთიდან... ლაპარაკი უნდა შენთან... გაიგო შენი ამბავი და... გაცნობა უნდა შენი.

— თბილისიდან ბრძანდებით, ბატონო? კორესპონდენტი?! — წამოენთო მოულოდნელად მარიეტა და ამაყად გახედა მეზობლებს, — ხედავთ, მაინც მომიგონეს, კაცი ჩამოვიდა... თქვენ კი არ გჯეროდათ...

მეზობლები ენაჩავარდნილებივით იდგნენ, თვალს არ აშორებდნენ მარიეტასა და ლევანს, უხერხულობისგან საერთო აივნის მოაჯირთან მიდგნენ.

—მხოლოდ მე მწამდა, რომ დამაფასებდნენ... ყველას, ამათაც, სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ჩემი იმედიანი მოთმინება...

— კაი ახლა, მარიეტა... — ღიმილით მიაჩერდა მინადორა.

— ხომ იცით, როგორ მიყვარხართ, ჰოდა, ისე ყველაფერი აგისრულდეთ თქვენც, რავარც მე დღეს გევიხარე, — გაიბადრა ქალი და ლევანი ოთახში შეიპატიჟა.

— ქალბატონო მარიეტა, თქვენთან მე ვარდებით უნდა მოვსულიყავი, მაგრამ თქვენი ამბავი ხომ ახლა შევიტყე, შოთამ მიამბო, ამიტომაც მაპატიეთ და უყურადღებობაში ნუ ჩამომართმევთ, — ხელზე ეამბორა ლევანი მარიეტას.

მარიეტას ღიმილმა გადაურბინა სახეზე. ლოყები ოდნავ წამოუწითლდა და გახარებულმა კმაყოფილებით დაუკრა თავი სტუმარს.

— მოდი შენც, შოთა — მიიპატიჟა მარიეტამ მეზობელი, მაგრამ შოთამ მოუბოდიშა, სკოლაში მეჩქარებაო და უხმაუროდ ჩაირბინა კიბე.

მარიეტას ოთახი მუზეუმს ჩამოჰგავდა.

ერთი კედელი საყვარელი მსახიობების სურათებს ჰქონდა დათმობილი, შუაში კი, ხალიჩასავით, ორი აფიშა იყო ჩამოკიდებული. ერთზე ეწერა: „მზის დაბნელება საქართველოში“, მეორეზე — „ოტელო“. ორივე აფიშაზე წითელი ფანქრით იყო ხაზგასმული მარიეტას გვარი. მოპირდაპირე მხარეს დიდი, განიერი ტახტი იდგა, ხავერდის მუთაქებითა და ბალიშებით დამშვენებული. ერთ-ერთ კუთხეში ძველებური საწოლი მოჩანდა — ვარდისფერი გადასაფარებლით გადახურული. ოთახის შუაში მაგიდა იდგა, ზედ სამოვარი შიშინებდა. იქვე ლამბაქზე — ალუბლის მურაბა და ფინჯანი, ცხელი ჩაის ორთქლი რომ ასდიოდა. ოთახის მშვენება წითელბანტიანი გიტარა იყო, ტახტთან კოხტად ჩამოკიდებული. შავი ხის ეტაჟერზე წიგნები ელაგა და სულ მაღლა, — შვიდი, ხორთუმიანი ფაიფურის სპილო, ოცდაათიანი წლების ყველა ოჯახის აუცილებელი სამკაული.

— გიყვართ ჩაი, ქალბატონო მარიეტა?

— ძალიან. თქვენც ხომ არ ინებებთ ერთ ფინჯანს?

— სიამოვნებით გეახლებოდით.

მარიეტამ სტუმარს ჩაი დაუსხა და თავის ადგილზე დაჯდა.

— ჩვენი დასი რომ დგამდა „მზის დაბნელებას“, საშინელი სიცივე იყო კლუბში, შენობა არ თბებოდა. გვედგა ქურა, ზედ დუღდა ჩაიდანი და ვინც თავისუფალი იყო, ჩაით თბებოდა...

— სამოვარს სულ სხვა ეშხი აქვს.

— დიახ, მეც ასე ვფიქრობ. ეს სამოვარი დედაჩემის მზითევია. ესღა დამრჩა, დედის მოსაგონრად...

— ბედნიერი ქალი ბრძანდებით, ქალბატონო მარიეტა, რა მსახიობებთან გითამაშიათ..

— დიახ, მე ვამაყობ ამით.

— სურათი ხომ არა გაქვთ, სამახსოვროდ ერთ მათგანთან მაინც გადაღებული?

— ეჰ, ჩემო ბატონო, სად იყვნენ მაშინ ეს ფოტოკორესპონდენტები, ახლა სულ ყველგან რომ გამოჩნდებიან ხოლმე. ან, მაშინ განა ვფიქრობდი იმაზე, რომ ეს სურათები ძვირფას რელიკვიად დამრჩებოდა? მარეხი რომ ვითამაშე, თექვსმეტი წლისა ვიყავი... ცოტა მოგვიანებით კი, დეზდემონა განვასახიერე... დაუვიწყარი დღეების გადატანა მერგო წილად. თქვენ ხომ ვერც წარმოიდგენთ, რა ხდებოდა იმ სპექტაკლებზე ჩვენს კლუბში, სცენაზე... ეს იყო ტრიუმფი, ეს იყო დაუვიწყარი დღესასწაული...

— ახლაც თეატრში ხართ?

— ო, არა... დიდმა დრომ გაიარა. ესეც არ იყოს, არ მინდოდა. მეხსიერებაში რამეს დაეჩრდილა ის მოგონება.

— მაპატიეთ, მაგრამ... საარსებო წყარო ხომ...

— მე ვმუშაობ, ჩემო ბატონო, კლუბში კონტროლიორი ვარ... იმ ჰაერით ხომ ვსუნთქავ, და ჩემთვის, ესეც საკმარისია, ზოგმა არც იცის, რა წარსული მაქვს, შერეკილს მეძახიან, თავი ამაყად რომ მიჭირავს და უბრალო კონტროლიორად კი ვმუშაობ.

— ეს აფიშები არ უნახავთ?

— არც იციან ამის არსებობა. ნურც გიკვირთ, ჩემო ბატონო, ვილა დარჩა ძველებიდან ამ ჩვენს შორაპანში. დიდი დრო გავიდა. ზოგი დაიხოცა, ზოგი წავიდ-წამოვიდა... ამ ახლებმა კი რა იციან.

— შოთამ მითხრა, თურმე თქვენი საიუბილეო თარიღი ახლოვდება.

— კი, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, მე არც ვითხოვ იუბილეს გადახდას. ეს ხვედრი უფრო დამსახურებულებისაა, მე ერთი გახსენებაც მეყოფა სიხარულად, ერთი ვარდიც... ყვავილების დაკრეფა განა თვითონ არ შემიძლია, მაგრამ მსახიობისათვის მორთმეულს სულ სხვა ფასი აქვს. აი, თქვენ, წეღან რომ ბრძანეთ, ის მე მთელი სიცოცხლე მეყოფა გასახსენებლად.

— დარწმუნებული ვარ, ქალბატონო მარიეტა, რომ დამსახურებას არ დაგიკარგავენ. განა ბევრია კიდევ, ვისაც იმ ბუმბერაზ მსახიობებისთვის პარტნიორობა გაუწევია და მით უფრო, რაიონის სცენაზე!

— ღმერთმანი, ეს დაფასება მარტო მე კი არა. ახალგაზრდებსაც სჭირდებათ დასანახავად, რომ იცოდნენ, შემოქმედის შრომას არ უწერია დავიწყება. ბატონმა ვასომ, სპექტაკლის შემდეგ, სულ ყმაწვილ გოგოს ხელზე მაკოცა და მითხრა, ნიჭი ხარო, ხალასი ნიჭიო, ჩემო კარგო მარიეტაო. არ ვიცი, რატომ შემარქვა ასე, ჩემი ნათლობის სახელი ხომ მარიამია, მარო. მას შემდეგ დამერქვა და დამერქვა მარიეტა და, ასეც მოვკვდები, იმიტომ რომ ამ სახსოვარს ვერასგზით ვერ დავკარგავ. ბატონმა აკაკიმ კი მითხრა, სპექტაკლის შემდეგ, — მარიეტა ხარ თუ დეზდემონა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ტი ტალანტო! მაგრამ ახლა აღარავინ იცის ჩემს გარდა, რა თქვეს მაშინ...

— მერმე აღარ შეხვედრიხართ მათ?

— იმათაც იმიტომ ეხალისებოდათ პროვინციაში ჩამოსვლა, რომ ახალგაზრდები იყვნენ, მერე სადღა ჰქონდათ ამის დრო, საზოგადო მოღვაწენიც იყვნენ, ბუმბერაზი მსახიობებიც... აღარ ჩამოსულან, არა...

— რომელიმე როლის შესრულების ნატვრა თუ გაწუხებთ ხოლმე?

— ორი ნატვრა დამრჩა გულში... — ზეინაბი — „ღალატიდან“ და კრუჩინინა „უდანაშაულო დამნაშავენიდან“...

— მერმე, რა გიშლით ხელს, რომ განახორციელოთ ეს ნატვრა?

მარიეტას მორიდებით გაეღიმა, თავი გაიქნია.

— რას ბრძანებთ, ბატონო, ჩვენი კლუბის დირექტორი რომ ჩამივლის, ცალუბად შემომხედავს ხოლმე, გაიღიმებს, იმას ჰგონია, ჩემი მოგონილია ყველაფერი.

— აღარ გაიმეოროთ ეგ სიტყვა. თქვენ ხელოვანი ხართ და მან ეს თუ არ იცის, გავაგებინებთ. ხალხი ყვავილებით მოვა თქვენთან და პატივად ჩათვლიან თქვენს გაცნობას, თქვენს ნახვას, იმიტომ რომ, თქვენ ახალგაზრდობაში სცენაზე ცეცხლს ანთებდით ქართული სცენის ორ ბერმუხასთან.

მარიეტას ცრემლი მოერია. მან წუთით თავი ჩაღუნა, მერმე ერთბაშად ამოხედა ლევანს და ჩურჩულით ჰკითხა:

— თქვენ მართლა კორესპონდენტი ხართ თუ... თუ გინდათ გაერთოთ საბრალო ქალის ლაპარაკით?

— რას ბრძანებ, ქალბატონო მარიეტა... — ლევანი შეეცადა მოწმობის ჩვენებას, მაგრამ მარიეტამ ხელი ჩასჭიდა, არ მისცა უფლება უბის გახსნისა.

— არა, არ გინდათ... რაც უნდა იყოს, მე დღეს უბედნიერესი ქალი ვარ, ოცნება შემისრულდა, ორმოცი წლის ოცნება და სხვაზე, აღარაფერზე ვფიქრობ... გმადლობთ, ძვირფასო, თქვენ კეთილი ახალგაზრდა ხართ და ღმერთსა ვთხოვ, ასეთი ბედნიერება, თუნდაც ერთხელ, თქვენც განიცადოთ.

კარზე მორიდებით დააკაკუნეს.

მარიეტამ კარი გააღო და აღტაცებულმა შესძახა:

— ღმერთო, საიდან გაჩნდა ასეთი თაიგული?

ზღურბლზე შოთა იდგა თეთრი ვარდების თაიგულით და, ყმაწვილივით აღელვებული, ბოდიშს იხდიდა დაგვიანებისათვის.

— ეს ჩვენი ოჯახისგან, მარიეტა... არ დაგიმალავ, ლევანი რომ არა, ალბათ, შენს ღირსებას, შენს ფასს ვერც გავიგებდით... გვაპატიე, მარიეტა... — შოთამ გადაკოცნა გაოგნებული ქალი და ვარდის თაიგული მიართვა.

— გმადლობთ, რამდენი ხანია აღარ მოურთმევია ჩემთვის არავის ყვავილი... მაპატიეთ, გული ამიჩუყდა, ცრემლს ვერ ვიკავებ. მინადორა, ჩადგი ვარდი ლარნაკში.

— ქალბატონო მარიეტა, ამაღამ თბილისში ვბრუნდები და სიტყვას გაძლევთ, უახლოეს ნომერში თქვენზე ნარკვევს დავბეჭდავ. — თქვა ლევანმა.

— მარიეტა, იქნებ საღამო მოგიწყოთ კულტურის სახლში? — შესთავაზა შოთამ.

— არა! არა, არა... ახლა მე ველარ ავალ სცენაზე. ჩტო ს ვამი, ორმოცი წლის მერმე?! თანაც შესაფერისი კოსტიუმი არა მაქვს.

— მე გიყიდი, მარიეტა, ახალ კაბას. უთხარი რამე, დედა!

— არა, არა, იუბილეს ბევრი მღელვარე გახსენება მოსდევს. ხშირად ადამიანები ვერც უძლებენ ემოციებს. მე კი არასოდეს ასე არ მდომებია სიცოცხლე, როგორც ახლა.

— ვახშამზე მაინც დაგვთანხმდი, მარიეტა, — მიესიყვარულა მეზობელს მინადორა.

— ვახშამი? — გადაიკისკისა სიხარულით გალაღებულმა მარიეტამ. — ვახშამი მოუნო ... ოღონდაც, თქვენც უნდა გვეწვიოთ, ბატონო ლევან.

— თქვენთან ვიქნებით ყველა, ყველა თქვენი მეგობარი, — ხელზე აკოცა ლევანმა და თბილისში წასასვლელად გაემზადა.

მეორე დღეს, ლევანი კაბინეტიდან არ გამოსულა, თავჩაქინდრული მუშაობდა. საღამოს გამზადებული მასალა პირადად ჩააბარა რედაქტორს, შინ ეჩქარებოდა. ასე ვალმოხდილად ჯერ არ უგრძვნია თავი, რაც მუშაობა დაიწყო რედაქციაში და დედისთვის უნდოდა გაეზიარებინა შთაბეჭდილებები.

შინ დაბრუნებულს, დედამ შოთას დეპეშა გადასცა: „ამ დილით მარიეტა გარდაიცვალა. ეტყობა სიხარულმა მოცელა საბრალო. იმედია, პატივს დასდებ და დასაფლავებას დაესწრები“.



კ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპ. ბიბლიოთეკა



# მისი კოლეგები

რედაქციაში თათბირი ინყებოდა. ჩვეულებრივ ახალი ნომერი უნდა განგვეხილა. ერთხელ კიდევ გადავათვალიერე გაზეთი და უცებ ერთმა პატარა ნერილმა დამაინტერესა: ვისია ეს ნერილი? ვინ მოიტანა? ვინ არის მისი ავტორი? — ზედიზედ ვეკითხებოდი ჩვენი რედაქციის თანამშრომლებს. ნერილი ბულგარელი და ქართველი ბავშვების მეგობრობას ეხებოდა. როდესაც პიონერთა ბანაკში ბულგარელი ბავშვების ნერილი მიიღეს, გადანყვიტეს ჯერ რუკაზე გასცნობოდნენ ბულგარეთს, მეგობრობის ქალაქ პიარნოს, ემოგზაურათ რუკით და, შემდეგ მიენერათ პასუხი.

— მისი ავტორი ახალგაზრდა ქალია, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. ყოჩაღ, რუსუდან პერკინა, ასეთი კარგი ნერილისათვის!..

დაინყო თათბირი და იმ პატარა ნერილზე იგივე აზრი გამოითქვა... ეს იყო 1952 ნელს, როცა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში ვმუშაობდი.

მას შემდეგ, რუსუდან პერკინა-გამსახურდია ჩვენი რედაქციის ხშირი სტუმარი გახდა. მოჰქონდა ჩვეული ოსტატობით დანერილი გულსავსე ნერილები, კორესპონდენციები. ჩვენი მუშაობისას მორიდებით შემოვიდოდა, თითქმის ჩურჩულით, ნყნარად საუბრობდა. მის გამოხედვაში ხასიათის ხიმტკიცე, შრომისმოყვარეობა და სიკეთე ჩანდა.

რუსუდანი სტუდენტობის პერიოდში განათლების მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკში ბავშვებთან ატარებდა ზაფხულს. იმთავითვე ნორჩთა ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. ადვილი როდია, ყველა ბავშვს ჩასნვდე გულში, სულში, იცხოვრო მათი ცხოვრებით... ის მარტო პიონერხელმძღვანელი კი არა, ამხანაგი, მეგობარი და უახლოესი ადამიანი იყო. რუსუდანი ერთსა და იმავე დროს უბრალოც იყო, მომთხოვნიც, სათნოც, მკაცრიც... აი, სნორედ ეს არის აღმზრდელის ღირსება! ამიტომ იყო, რომ ბავშვებმა უზომოდ შეიყვარეს. და როცა რუსუდანი გამოცდების ჩასაბარებლად ბანაკიდან ინსტიტუტში მიემგზავრებოდა, ბავშვები გულმხურვალედ აცილებდნენ, კეთილ სურვილებს ატანდნენ, ხოლო, როცა ბანაკში ბრუნდებოდა, ყვავილებივით მიმოიბნეოდნენ ხოლმე გზებზე მის შესახვედრად... ასე გაატარა მან თავისი შინაარსიანი და ნარჩინებული სტუდენტობა... იზიდავდა ხელოვნება, მნერლობა, ნერდა მოთხრობებსაც... ამიტომაც იყო, რომ მისი ყოველი ნერილი თუ კორესპონდენცია მუდამ ხალისით იკითხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანს იმთავითვე იზიდავდა აღმზრდელობითი, უფრო კი ზნეობრივი აღზრდის პრობლემები. მისთვის მტკივნეული იყო სნავლაში ჩამორჩენილი თანატოლებისადმი კლასის გულგრილობა, სკოლას ჩამოშორებული ამხანაგის ბედისადმი უყურადღებობა.

რუსუდანის გულისხმიერება, დაკვირვებული თვალი ყოველთვის ეძებდა გზას, რათა ბავშვს იმთავითვე გაერჩია კარგი და ცუდი. როცა მან ჩვენს რედაქციაში მუშაობა დაინყო, გარკვეულ პერიოდში ერთ ოთახში გვიხდებოდა ყოფნა — მე ნერილების განყოფილებაში, ძირითადად მხატვრული ნანილი მებარა, ის კი სასკოლო განყოფილებაში მუშაობდა. ხშირად ვუსმენდი, როგორ უპასუხებდა ავტორებს და მუდამ კმაყოფილი ვრჩებოდი... საქმე ის არის, რომ ავტორს დანუნებულ ნერილზე ისე ესაუბრო, რომ უარის შემთხვევაშიც მადლობით, იმედიანად ნავიდეს. ეს კი ჟურნალისტისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია, ვიდრე ნერილის მომზადება და დაბეჭდვა. რედაქციის მუშაკი ზოგადი განათლებით უნდა იყოს აღჭურვილი, რომ ავტორებთან საუბარში თავისუფლად იგრძნოს თავი... მაშინ ჩვენ ამ დეტალებზე არასოდეს გვისაუბრია ერთმანეთთან, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ერთი აზრისანი ვიყავით. მისი მომზადებული მასალა ყოველთვის სრულყოფილი, მრავალფეროვანი იყო. ეს კი მთავარი ფაქტორია ნერილის შექმნისა. მუდამ უნყინარი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე და მხოლოდ სიკეთის აღმნუსხველი — ასეთი მახსოვს რუსუდან გამსახურდია გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციიდან. 17 ნელი იმუშავა მან ამ გაზეთის რედაქციაში, და ამ ხნის განმავლობაში მტკიცედ შეეთვისა მოზარდთა სამყაროს...

მას შემდეგ რუსუდანი საქართველოს ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში განყოფილების გამგედ მუშაობს. აქაც თავისებური ნიუანსები შეიტანა. მისი ინიციატივით მომზადდა საინტერესო ციკლური გადაცემები: „ჩვენი სატელევიზიო ფოსტა“, რომელიც მხოლოდ შემოსულ ნერილებზე იყო აგებული, „აჩუქე ადამიანს სიხარული“, რომელიც მიზნად ისახავდა ამ გადაცემათა მასალების საფუძველზე სატელევიზიო ნიგნის შექმნას.

— რაკი ამ გადაცემის სათაური არკადი გაიდარის შემოქმედებიდან ავიღეთ, — მეუბნება რუსუდანი, — სატელევიზიო ნიგნის შესავალი თვით გაიდარის ვაჟმა თემურ გაიდარმა დაგვინერა (მაშინ იგი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი და პირველი რანგის კაპიტანი იყო, გადაღებული გვყავდა ეკრანზე და ისე საუბრობდა). მან ჩვენი ჩანანერები მოინონა და გზაც დაგვილოცა, განაგრძობს რუსუდანი, — გადაცემა, რომელსაც მნერალი თენგიზ გოგოლაძე ხელმძღვანელობდა, საინტერესო

ამბავზე იყო აგებული: თბილისელ პროფესორს რუსეთიდან მოზრდილი პაკეტი გამოუგზავნეს. კომუნალური სახლის საფოსტო ყუთიდან ეს ამანათი ბავშვებმა ამოიღეს, ლამაზი მარკებიააძრეს და იქვე ქუჩაში პროფესორის სახლთან ახლოს დააგდეს... ეს კონვერტი სხვა ბავშვებმა იპოვნეს, მოძებნეს ადრესატი და ჩააბარეს. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბავშვების შეცდომა ბავშვებმავე გამოასწორეს. სტუდიაში ერთმანეთს შეახვედრეს პროფესორი და მისი დამხმარე ბავშვები.

სატელევიზიო თეატრი „მზის იალქანი“, რომელიც ბავშვს ეხმარება საზოგადოებრივი აზრის შექმნაში, ილაშქრებს ფორმალიზმისა და სიყალბის წინააღმდეგ. იგი აგებულია იდეურ-ზნეობრივი აღზრდის კომპლექსურ პრინციპებზე, აყენებს პრობლემას, რომელიც მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება, თანამედროვეობის მოთხოვნებს ითვალისწინებს.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა სატელევიზიო ჟურნალ „კოცონის“ ერთ-ერთმა გადაცემამ — „რა ღირს სიზარმაცე?“... სასწავლო წლის მესამე მეოთხედი იწურება. ეს ხომ გადამწყვეტი ეტაპია. სწავლაში ნარჩინებულებმა სამეგობრო ხელი უნდა გაუწოდონ იმათ, ვისაც დამოუკიდებლად უჭირს ჩამორჩენის დაძლევა. ზარმაცები უნდა გაბეჯითდნენ, ხასიათი უნდა შეიცვალონ, თორემ სიზარმაცე ძვირად დაუჯდებათ.

საუბრობდნენ იმ წერილების ირგვლივ, რომლებიც რედაქციამ მიიღო შეკითხვაზე: „რა არის სიზარმაცე“?.. ეს შეკითხვა გააცნეს თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მასწავლებელს, ლენინისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან ელენე სურგულაძეს და სთხოვეს შეეჯამებინა ბავშვთა პასუხები. და აი, ბავშვების დაფიქრებული, მაგრამ სხვადასხვა გამომეტყველების მქონე სახეები. ისინი სულ სხვადასხვანაირად აზროვნებენ, მაგრამ მიზანი და სულისკვეთება ერთია: უნდა აღმოიფხვრას სიზარმაცე!

„ნიტრას ეუბნებოდნენ და კოკავ შენ გესმოდესო“. — ამ გადაცემაში ისევ მოსწავლეთა სიზარმაცის დაძლევაზე, ბავშვებისადმი მათი აღმზრდელი მასწავლებლების მოვალეობა-დამოკიდებულებაზეა ლაპარაკი. ზოგჯერ ხომ მასწავლებელსაც სჭირდება მითითება, რჩევა, შთაგონება...

ყოველდღიურ ფიქრსა და ზრუნვაში კვლავ იბადება ახალი გეგმები. გადის წლები და აი, რუსუდანი სახალხო განათლების ნარჩინებული და დამსახურებული ჟურნალისტია.

დაე კვლავაც ჩვეული ენერგიით, მხნედ ევლოს თავის სავალ ნათელ გზაზე ბავშვთა სასიკეთოდ!

ბავშვი ხომ ის მწვანე ჯეჯილია, რომელიც უნდა იზარდოს და დაპურდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ელენე დიდიმამიშვილი



პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკური კრების ექო

# შვიდი შვილი— მართლაც შვილი!

1981 წლის 30 სექტემბერი. თბილისი. პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკური კრება ეხმაურება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განაწესს: მეტ ყურადღებას მოითხოვს პიონერული ორგანიზაცია!

„დღევანდელი პიონერები, ოქტომბრელები XXI საუკუნის მომავალი მოქალაქენი, კომუნისტები არიან და იმაზე, თუ როგორები გაიზრდებიან ისინი, დამოკიდებულია, როგორი იქნება ცხოვრება მომავალში.“ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე გამოთქმულმა ამ აზრმა განსაზღვრა კრების ისტორიული მნიშვნელობა.

პრეზიდიუმშია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. კრებაზე თავი მოიყარეს ერის მომავლისათვის მზრუნველმა ღვაწლმოსილმა ადამიანებმა და პიონერულმა მუშაკებმა.

— როგორია საზოგადოებრიობის როლი, ლ. ი. ბრეჟნევის რჩევისა და მითითებათა შესაბამისად პარტიის მოთხოვნების სულისკვეთებით მომავალი თაობის აღზრდის საქმეში, — ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს: პიონერხელმძღვანელმა და მეცნიერ მუშაკმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა და საბავშვო მწერალმა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ექიმმა და შინაგან საქმეთა განყოფილების ინსპექტორმა, სკოლისგარეშე დაწესებულების ხელმძღვანელმა და კომკავშირულმა მუშაკმა, პედაგოგმა და სტუდენტმა, ჟურნალისტმა და მუშამ, პედაგოგ-ორგანიზატორმა და დედამ...

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ. მან პიონერულ მუშაკებთან ასეთი შეხვედრები ერთ-ერთ პასუხსაგებ და პარტიულ დავალებად, სასიამოვნო დავალებად მიიჩნია, ხაზი გაუსვა, რომ ამ შეხვედრის სახით კიდევ ერთი შესანიშნავი და ფრიად სასარგებლო ტრადიცია იშვა, და აღნიშნა: „პიონერული მუშაობა ყველა ჩვენგანს ეხება, ვინაიდან იგი უკავშირდება ისეთ საერთოსახელმწიფოებრივ, საერთო-სახალხო საქმეს, როგორიც არის ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდა, მისი იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბება“.

ის დედა, რომელმაც კრებაზე სიტყვა წარმოთქვა, თამარ მეტრეველი-ღუდუშაური გახლდათ. — მე შვიდი შვილის, ექვსი ვაჟისა და ერთი გოგონას დედა ვარ, — დაიწყო მან თავისი გამოსვლა, შემდეგ ილია ჭავჭავაძის სიტყვებიც მოიშველია — „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან“. ეს აზრი ეპიგრაფად უძღვის სატელევიზიო გადაცემას („ოპერაცია „ზრუნვა“), რომელიც მოზარდებისათვის კეთილი გარემოს შექმნას ითვალისწინებს.

პირველად თამარი ამ გადაცემისათვის მზადების დროს გავიცანით. დედაქალაქში

ბავშვებისათვის მზრუნველ სანიმუშო ადამიანებს ვეძებდით. გვითხრეს, გლდანის რაიონში ცხოვრობს ასეთი ქალი — მრავალშვილიანი დედა თამარ მეტრეველი-ღუდუშაურიო. შვიდი შვილის დედას თავისი ოჯახის საზრუნავიც უნდა ჰყოფნიდეს! ვერ წარმოვიდგენდით, თუ მისი გულის სითბო საკუთარ შვილებს თავს გადაუვიდოდა და სხვის შვილებსაც ეყოფოდა!

იმ დღეს კინოფირზე გადავიღეთ ბავშვებით სავსე მისი სახლი. შვიდშვილიან ოჯახში საოცარი სიფაქიზე, სიმყუდროვე, ჰარმონიულობა და ბედნიერება სუფევდა. ჯორჯი, ბესიკი, მამუკა, გოჩა, ირმა, ილია, არსენი და ორიც სხვისი, — მეზობლების ბავშვები გავიცანით. ერთს არითმეტიკაში ეხმარებოდა თამარი, მეორეს — ქართული ლიტერატურის საშინაო დავალების მომზადებაში.

მერე სახლი მუსიკით აივსო. მამუკას თანატოლებს მოხევურ ცეკვას ასწავლიდა. (თამარმა და ომარმა სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი დაამთავრეს), თავად ლოტბარია, მეუღლე ომარ ღუდუშაური ქორეოგრაფი. ომარის ორი გაკვეთილი საკმარისი იყო, რომ მესამე და მეოთხე მეცადინეობა თამარს დამოუკიდებლად გაეგრძელებინა. საღამო ხანს მათს სახლში გუნდი შეიკრიბა — ტახტზე მოხერხებულად ჩამოსხდა. თამარმა ხელები გაშალა და ბავშვების წკრიალა ხმები გაისმა. კაცმა რომ თქვას, ერთ ანსამბლად მისი შვილებიც იკმარებდა, იმ გუნდში კი ოცდაათზე მეტი ბავშვი იყო. ეს მარტო მამუკას თანაკლასელები, მერე — ბესიკისა, ჯორჯისა, გოჩასი, ირმასი და ილიასი! თამარს 115-ე სკოლის ექვსი გუნდი თავის სახლში ჰყავს მომზადებული. იგი უანგაროდ მუდამ მხარში ედგა თავისი შვილების მასწავლებლებსა და მეზობლებს.

— ჩემი და სხვისი რას მიქვია, შვილი ყველა შვილია და მათთვის ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ, — ასე თქვა თამარ მეტრეველმა რესპუბლიკურ კრებაზე — ეს აზრი სიკეთისა და მოქალაქეობრიობის ფორმულასავით მარტივი და ჭეშმარიტია, მაგრამ ყველა როდი ცდილობს ჩასწვდეს მის არსს, ყველას როდი ჰყოფნის ძალა იგი თავის ცხოვრებას ორგანულად მოარგოს და შეუსისხლხორცოს.

დავწვრილშვილდი, დავიწიე, დამეზარდნენ, ავიწიეო. — მოიშველია თამარმა ქართული ანდაზა და დაუმატა: შვიდ შვილზე გაჩერებას არ ვაპირებთ, კიდევ გავმრავლდებითო და დარბაზში მქუხარე ტაშმა, აღტაცების შეძახილმა იფეთქა.

ერი უნდა გამრავლდეს. მრავალშვილიანი ოჯახი რომ ჯანსაღი და ღონიერი იყოს სახელმწიფოებრივი ყურადღებით, ზრუნვით და მოფერებით უნდა იყოს გარემოსილი — ასეთია ჩვენი პარტიისა და მთავრობის დღევანდელი კურსი.

გულდასაწყვეტია, რომ საქართველოში მრავალშვილიანი ოჯახები ჯერჯერობით თითზე ჩამოსათვლელია. ერთსა და ორშვილიანობას დედის გაუმართლებელი თავშეკავება, ხშირ შემთხვევაში კი, ეგოიზმზე რომ არაფერი ვთქვათ, საკუთარი ძალების შეუფასებლობა განაპირობებს. ამას კი ხანდახან ხელს უწყობს ამ უაღრესად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხისადმი ვიღაცის ბიუროკრატიული, უსულგულო დამოკიდებულება. რამდენიმე წლის წინათ თამარმაც განიცადა გულცივობის სუსხი, მაგრამ არ შეეპუა, დედის უფლება მტკიცედ დაიცვა, დამსახურებულად მოიპოვა თანამედროვე, მოწყობილი ბინა და წვრილშვილის კეთილდღეობისათვის საჭირო ყველა პირობა.

შვილების სიმრავლეს ვერა განძი ვერ შეედრება! ეს ვიგრძენით ღუდუშაურებთან პირველ სტუმრობის დროს. ახლა კი ვესწრაფვოდით მეორედ გვენახა ეს საგანძური. დავდიოდით მაღლივ სახლებს შორის ლამაზ ყვავილნარებში და ვეძებდით ღუდუშაურების ოჯახს. ეზოში ახალგაზრდა ქალები ბავშვებს ათამაშებდნენ...

— ვის ეძებთ?

— შვიდი შვილის დედას, ახალგაზრდაა, თმა მოკლედ აქვს შეკრეჭილი, შავი სათვალე უკეთია, — წინადადება დამთავრებული არა გვქონდა, რომ უცებ გამოიცნეს, ჩვენი პედაგოგ-ორგანიზატორიაო. როგორც შევიტყეთ, თამარს აქაც კეთილი კვალი გაუვლია: მიკრორაიონში ბავშვებისათვის ხატვის, მხატვრული კითხვის, ცეკვის, სიმღერის, ქართული და რუსული ლიტერატურის წრეები შეუქმნია, კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდები ჩამოუყალიბებია. ერთი სიტყვით, მშობლები თამარის დახმარებას გრძნობდნენ და სიხარულით აღგვიწერდნენ მის დამსახურებას, უანგარობას. ქალებმა ისე მიმოიხედეს, თითქოს, თამარი ახლაც გვერდით ეგულებოდათ. აი, მისი სახლის ზუსტი მისამართი კი არ იცოდნენ, მწვანე ფერდობზე მიგვანიშნეს, იმ გზით დადის, მგონი, ასმეათე კორპუსში ცხოვრობსო.

აგერ, ვარდისფერი ასმეათე კორპუსიც... სადარბაზოში არ შევდივართ, ეზოში ვეძებთ მასპინძელს, ისე, როგორც პირველად ვნახეთ, ბავშვებთან ერთად ხეებს რომ რგავდა. პატარები მასავით მოხერხებულად ბარავდნენ და გატაცებით მღეროდნენ. ჰო, გამწვანების კეთილშობილურ საქმეს იგი გუნდის მეცადინეობას უთავსებდა...

თამარ მეტრეველი საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ სულ ბავშვებთან მუშაობს. თითქმის ცამეტი წელი გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მეორე სკოლაში სიმღერასა და მუსიკას ასწავლიდა. თან თბილისში მისი ბინის კარი მუდამ ღია იყო ბავშვებისათვის. ახლა კი აგერ, პედაგოგ-ორგანიზატორი გამხდარა და ოფიციალურად ევალება ის, რასაც წლების მანძილზე უსასყიდლოდ ასრულებდა.

გლდანის დასახლება შარშან აქეთ გაზრდილა, დამშვენებულა. გვახსოვს ღუდუშაურების სახლის წინ ხარაჩოები იყო აღმართული, მოედანზე სამშენებლო მასალის მთები იდგა. ახლა თვალს იტაცებს სათამაშო და სასპორტო მოედნები, აღარც ხარაჩოები ჩანს, როგორ გინდა იპოვნო...

— ვის ეძებთ? მოგვმართავენ ისევ მეგობრული შეკითხვით.

— პედაგოგ-ორგანიზატორს, თამარ მეტრეველს! — ახალგაზრდა ქალმა გაგვისწორა, თამარი მუსიკის მასწავლებელია, ჩემს გოგონას ამეცადინებდა, შვიდი შვილი ჰყავსო, მერე მოჰყვა ლოცვას, — მუსიკაში მომიმზადა, ფული არ გამომართვაო.

— შვიდი შვილი კი არა, რვა ჰყავს, მერვე ჩემი ბიჭია, შვილივით მოუარა, სკოლაში რომ გაუჭირდა, პროფტექნიკურ სასწავლებელში მომიწყო. — საუბარში ჩაერია ხანშიშესული მანდილოსანი. სკოლის ხსენებაზე გავიფიქრეთ, თამარი თავისი შვილების სკოლაში უნდა მოგვეკითხა, იქ გავიგებდი ზუსტ მისამართს.

...ბავშვები სკოლაში არ იყვნენ: მასწავლებლებმა სინანულით გვითხრეს, ღუდუშაურები ყაზბეგში გადავიდნენ საცხოვრებლად, ძალიან დაგვწყდა გული, მაგრამ რას ვიზამდით, ოჯახის მამას მშობლიური მთებისკენ გაუწია გულმაო.

— გაუწია გულმა და ვერ დავუშალეთ, ამასწინათ დედა რომ მოინახულა, მითხრა: პიონერთა სახლში ბავშვების გუნდის მოსამზადებლად მეძახიან და უნდა წავიდეთო. — აი, ასე უბრალოდ განმიმარტა თამარმა დედაქალაქიდან მთაში საცხოვრებლად გადასვლის მიზეზი. ან რა საჭიროა გაზვიადება, მაღალფარდოვნება!

— მრავალშვილიანი დედა, მშობლიური მხარე და ბავშვთა გუნდის მომზადება. — მართლაც რომ საპატიო მიზეზია!

...ყაზბეგში, სასტუმროს მხრიდან საშუალო სკოლისაკენ ყოველ დილით ექვსი კარგად მოვლილი და კოხტად ჩაცმული ბავშვი ხელიხელჩაკიდებული მიდის სკოლისაკენ — ხუთი ბიჭი და ერთი გოგო, — რა კარგები არიან, ნეტა ვისები არიანო, კითხულობენ გამვლელ-გამომვლელნი. სახლის აივნიდან კი დედა — თამარი პატარა ბავშვით ხელში სიამაყით, იმედიანად გასცქერის შვილებს.

საამაყო რაც აქვს, უკვე გიამბეთ, იმედი კი შვილების მომავალს შეეხება. ჯორჯის ტექნიკა იტაცებს — ინჟინრობაზე ოცნებობს, ბესიკს ხატვა ეხერხება და კინორეჟისორობაზე ფიქრობს; მამუკა გამომძიებელივით სამართლიანია, სწავლის გაგრძელებას იურიდიულ ფაკულტეტზე აპირებს; გოჩა კოსმონავტობაზე ოცნებობს, ირმას მუსიკა იტაცებს; ილიას კარგი ხმა აქვს, სულ მღერის, მსახიობი დადგება; არსენი კი პატარაა ერთთავად იცინის, ლაღია და ჯანმრთელი!

რუსუდან ჯამსახურდია

# მოდა

## სადღესასწაულო კაბები

1. ატლასის ქსოვილის საახალწლო კაბა: — ნახევრად გამოყვანილი. წელის ხაზი დაგრძელებულია. ფართო საყელო და მანჟეტები დამშვენებულია ნაქარგით „რიშელიე". ქვედა კაბა ირიბად არის აჭრილი.

2. ატლასის ქსოვილის კოსტუმი: თავისუფალი ფორმის ბლუზის ამშვენებს გადმოშვებული ფალდებიანი დიდი საყელო და გულისპირი („ჟაბოტი"). ქვედა კაბა ნაკეცებიანია.

3. საახალწლო კომპლექტი ატლასის და შიფონის ქსოვილისგან. ხალათი — სწორი; კაბა ვიწრო, ბრეტელებიანი, აქვს წინ შემოხვეული ნაკეცი. გულისპირი ამოქარგულია. ბლუზის ამშვენებს ნაქარგი „რიშელიე".

4. შიფონის ქსოვილის წელში გადაჭრილი კაბა ვიწრო ბრეტელებით. გულისპირი ვერცხლის ძაფით და ფერადი მძივით არის ნაქარგი.

ქვედა კაბა ოთხნაჭრიანია და ამოქარგული.

კაბას საზეიმოს ხდის აქსესუარები — ყელსაბამი, სამაჯური.

მხატვარ-მოდელიორი ნანა ცქვიტაია.






## განა ეს საკადრისია?

ვცხოვრობთ თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზირზე მე-3 კვარტალში; ვართ პენსიონერები. გამიგონია, პენსიაზე გასვლისას ადამიანები განსაცდელში ვარდებიან, ცხოვრების შინაარსი ეკარგებათო. ასე გვეგონა ჩვენც, მაგრამ, ასე არ ყოფილა. თურმე ყველა ასაკში უჩნდება ადამიანს საკუთარი ინტერესი.

ჩემმა მეუღლემ, 78 წლის კაცმა სადარბაზოს წინ დაბალი ღობით გაზონი შემოაკავა, მიწა დაბარა, გათოხნა, იონჯა დათესა, ზამბახები და იასამნები გაახარა; ჩვენს ეზოში ორი ძელ-სკამი დადგა და რვა ძირი ხე დარგო. ამ კორპუსში მცხოვრები ზოგიერთი ჯანღონით სავსე ახალგაზრდა (გვარს არ ვასახელებთ), ნაცვლად იმისა, რომ მოხუცს ხელი შეაშველოს, პირიქით, ხელს უშლის. ზოგიერთები განზრახ გადასვამენ ხოლმე შვილებს გაზონში. პატარები კი, მოგეხსენებათ, უმოწყალოდ გლეჯენ ყვავილებს, ტოტებს ამტვრევენ ნარგავებს. თუ გავბედეთ და შემჩნევა მივეცით რომელიმეს, გაგულისებული მშობლები პატარების თვალწინ ჩვენი სალანძღავი სიტყვების კორიანტელს დააყენებენ...

ძვირფასო რედაქციავ, გთხოვთ გვიპასუხოთ, ასეთი აღმზრდელისაგან რა მაგალითი უნდა მიიღოს მოზარდმა?

ო. თიგილოვა,
თბილისი.

## ბურთი... ბურთი, ბურთი...

**როცა სამსახურიდან შინ ვბრუნდები, ჩემი ბიჭიკო უსათუოდ კარებში წუწუნით შემომეგებება:**

**— დედიკო! ბურთი მინდა, დიდი ბურთი! რეზინის დიდ ბურთს კი, მოგეხსენებათ** თბილისის ვერცერთ მაღაზიაში ვერ იშოვნით, ყველგან ერთსა და იმავეს გიპასუხებენ:

— ბატონო, რეზინის ბურთს თვეში ერთხელ ვიღებთ.

— მე კი თითქმის ყოველდღე შევდივარ მაღაზიაში, მაგრამ...

ძვირფასო რედაქციავ, ვფიქრობთ დაეხმარებით პატარებს ამ საქმის მოგვარებაში. იქნებ თქვენ მაინც მიაწვდინოთ ხმა სათანადო ორგანოებს და გააგებინოთ, რომ კოსმოსის ხანაში რეზინის ბურთის დამზადება არც ისე ძნელი უნდა იყოს!

გ. შონია,
თბილისი.

## წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

ნანული მოსიაშვილის წერილი, რომელიც მან „საქართველოს ქალის" რედაქციას გამოუგზავნა, თელავი-ახმეტის მარშრუტზე მომუშავე ავტობუსის კონტროლიორების — ვარდოსანიძისა და ბერძენიშვილის უტაქტო მოქმედებას, ავტოსადგურისა და მისი ტერიტორიის კეთილმოუწყობლობას ეხებოდა.

ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამგზავრო ავტოსადგურების რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ვ. გაბრუაშვილი გვატყობინებს.

— კონტროლიორები — ვარდოსანიძე და ბერძენიშვილი უტაქტო მოქმედებისათვის გაფრთხილებულნი არიან. გაფრთხილებულნი არიან აგრეთვე თელავის საკვანძო სამგზავრო ავტოსადგურის საექსპლოატაციო სამსახურის თანამშრომლები, რათა მათ აამაღლონ მგზავრთა კულტურული მომსახურების დონე. ავტოსადგურისა და მისი ტერიტორიის კეთილმოსაწყობად შედგენილია ხარჯთაღრიცხვა 21632 მანეთის ოდენობით, რომლის შესრულება უახლოეს დროშია გათვალისწინებული.



## როგირ ვან-დერ-ვეიდენი (1399 ან 1400—1464)—„ახალგაზრდა ქალის პორტრეტი"

ნიდერლანდელი (განსაკუთრებით ფლამანდიელი) ოსტატები ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იპყრობდნენ ყურადღებას დასავლეთ ევროპაში, ბევრმა მათგანმა კი სხვა ქვეყნების (კერძოდ საფრანგეთის) ხელოვნების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

კამპენის მოსწავლემ, როგირ ვან-დერ-ვეიდენმა 1432 წელს მიიღო ოსტატის წოდება, ხოლო 1435 წლიდან ითვლებოდა ქალაქის ოფიციალურ ფერმწერად ბრიუსელში. ცნობილი იყო როგორც სამშობლოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც (იტალიაში).

საინტერესოა როგირ ვან-დერ-ვეიდენის ფერწერული პორტრეტები.

ამჯერად გვინდა შემოგთავაზოთ მხატვრის ცნობილი ნამუშევარი „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი", სადაც ფერის, რიტმისა და კომპოზიციის ჰარმონიული კავშირი ემსახურება პორტრეტის ემოციურ დატვირთვას.

გარეკანის პირველ გვერდზე — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჭადრაკში მაია ჩიბურდანიძე; მეოთხეზე — როგირ ვან-დერ-ვეიდენი — „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბანძელაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. გურგენიძე, ლ. კაკაბაძე, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, პ. ქღენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ცაგარეიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ.მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4.11.81 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/XI-81 წ. ქაღალდის ზომა 60×1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.
ტირაჟი 134.100. შეკვ. 2804. უე 08774.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭურჭელი სამზარეულოსათვის

კერძის მოსამზადებლად უმჯობესია მომინანქრებული ქვაბი; წვნიანისა და ჩაროზისათვის („დესერტისათვის") იხმარეთ თხელკედლიანი მომინანქრებული ქურჭელი, ფაფებისათვის, შესაწვავად და მოსაშუშად კი — სქელკედლიანი. სასურველია იხმაროთ შიგნიდან მომინანქრებული თუჯის ტაფები და ჩანახის ქვაბები.

არ დაგავიწყდებათ, რომ მინანქარი ტემპერატურის ცვალებადობის ან დარტყმის შედეგად შეიძლება დასკდეს ან აიტკიჩოს. მომინანქრებულ ქურჭელს ფაქიზი მოვლა ესაჭიროება, ამიტომ იგი უნდა გარეცხოთ რბილი ღრუბლით, ნუ იხმართ ლითონის ჯაგრისს, იგი მინანქარს შლის, ნებისმიერი კერძის დასამზადებლად და შესანახავად მოხერხებულია ცეცხლგამძლე მინის ქურჭელი.

ფართოდ იყენებენ ალუმინის ქურჭელს წყალთან, ნახშირჟანგთან და ჰაერთან ხშირი კონტაქტის შედეგად. ქურჭლის შიდა ნაწილზე წარმოიქმნება ალუმინის ჟანგის ფსკი, რომელიც ერთგვარი საფარის როლს ასრულებს. იგი ადამიანისათვის საშიში არ არის, თანაც ლითონს იცავს შემდგომი დაშლისაგან, ამიტომ, ნუ ეცდებით მის მოცილებას. თუ ქურჭელს ზუმფარით გახეხავთ და შემდეგ შიგ მურაბას მოხარშავთ, კომპოსტოს დაამჟავებთ, ან რაიმე მჟავე და მარილიან პროდუქტს შეინახავთ, ალუმინის ჟანგის აფსკი დაიშლება. ალუმინის ქურჭელში, გარდა ზემოთჩამოთვლილისა, შეიძლება თითქმის ყველა კერძის დამზადება, ხოლო შენახვა კი მხოლოდ ფაფეულის და ბულიონისა.

სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დაშვებული განსაზღვრული მარკის უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებული ქურჭელი ძალიან მოხერხებულია ნებისმიერი კერძის დასამზადებლად. გახსოვდეთ! ნუ ისარგებლებთ უჟანგავი ფოლადის ქურჭლით, რომელიც შემთხვევით შეიძინეთ და არა მაღაზიაში.

მოთუთიებული ქურჭელი მდგრადია ნესტისა და ნახშირჟანგის მიმართ (არ იჟანგება), მაგრამ მასში მოთავსებულ საკვებს ხშირად დაჰკრავს თუთიის გემო, ამიტომ უკეთესია მოთუთიებულ ქურჭელში მხოლოდ წყალი დააგროვოთ ოჯახის საჭიროებისათვის.

თიხის მოჭიქული ახალი ქურჭელი ხმარებამდე განსაკუთრებული წესით უნდა დამუშავდეს!

ნახევარი საათის განმავლობაში ქურჭელში ადუღეთ ოთხპროცენტიანი ძმრის ხსნარი. ეს საჭიროა ხსნადი ტყვიის მოსაცილებლად, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება თიხის ქურჭლით უშიშრად სარგებლობა.



# უცხოური იუმორი













ფასი 30 კაპ

ეროვნული ბიბლიოთეკა